



საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოება  
დაფიქსირებული ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი

ლევან გვრიტიშვილი

სამართლის მაგისტრი

Levan Gvritishvili

Master Of Law

მოწმეთა დაცვის სპეციალური  
პროგრამა



გამომცემლობა „უნივერსალი“  
თბილისი 2012

მოცემულ გამოცემაში წარმოდგენილია მოწმეთა დაცვის პროგრამის წარმოშობის და განვითარების ისტორია სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე. ნაშრომში ასევე წარმოდგენილია ის სიახლეები და ინსტიტუტები, რომლებიც ამ პროგრამის მიზნების უკეთ განხორციელებას უწყობს ხელს და რომელთაც განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობა ითვალისწინებს; ასევე განხილულია საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში მოქმედი რეგულაციები ამ საკითხთან დაკავშირებით და შემუშავებულია შესაბამისი რეკომენდაციები.

ნაშრომი ხელს შეუწყობს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს, პრაქტიკულ მუშაკებს, რომლებიც სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალური პროგრამის განხორციელებაში არიან ჩართულნი და სამართლებრივი საკითხებით დაინტერესებულ ადამიანებს.

**რედაქტორი: მაგდა ტატიშვილი**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
ასისტენტ-პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის  
სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი

**ტექნიკური რედაქცია: დემეტრე ეგნატაშვილი**

**თემურ კენკებაშვილი**  
**გიორგი დელაღუტაშვილი**  
**შოთა ბარათაშვილი**

**დიზაინი: ზურაბ ბეჟაშვილი**

**დიმიტრი გეგენავა**  
**მარიამ ცერცვაძე**

© ტევან გვრიტიშვილი, საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა  
საზოგადოება 2012

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2012

---

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-833-7

## სარჩევი

<b>რეზიუმე</b>	<b>4</b>
<b>Resume</b>	<b>8</b>
<b>შესავალი</b>	<b>10</b>
<b>თავი I მოწმეთა დაცვის პროგრამა სხვადასხვა ქვეყნებში</b>	<b>13</b>
§1. ვინ არის მოწმე და რა ადგილი უკავია სისხლის სამართლის პროცესში?	13
§2. ამერიკის შეერთებული შტატები	23
§2.1 პროგრამაში ჩართვა	28
§2.2 მოწმეთა უსაფრთხოების პროგრამის განხორციელება	33
§3. ავსტრალია	41
§4. ჩინეთი, ჰონ-კონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონი	43
§5. კოლუმბია	43
§6. გერმანია	45
§7. იტალია	46
§8. სამხრეთ აფრიკა	47
§9. სერბეთის რესპუბლიკა	49
§10. საქართველო	57
§ 10.1 ძველი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი	57
§ 10.2 ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი	62
§ 10.3 რეკომენდაციები საკანონმდებლო ცვლილებისთვის	80
<b>თავი II საერთაშორისო სისხლის სამართლის მუდმივმოქმედი და დროებითი სასამართლოები</b>	<b>83</b>
§1. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შესახებ	83
§2. მოწმეთა დაცვის პროგრამა რომის სტატუტის მიხედვით	85
<b>თავი III მოწმეთა დაცვის პროგრამის მონაწილეები</b>	<b>92</b>
§1. მოწმის ცნება საერთაშორისო სამართალში	92
§2. დაზარალებულის ცნება	95
§3. პროგრამის სხვა მონაწილეები	96
§4. პერსონალი	99
<b>თავი IV დაცვის ალტერნატიული მექანიზმები</b>	<b>103</b>
§I მოწმეთა დახმარების პროგრამა	103
§2. პოლიციის დაცვა	105
§3. დროებითი გადაადგილებები უსაფრთხო ადგილებში	106
§4. თვითდაცვა	107
§5. თანხლებები პირი	108
§6. პროცესუალური დაცვა	110

§7. ბრალდებულის გაყვანა სხდომის დარბაზიდან-----	112
<b>თავი V მოწმეთა დაცვის პროგრამის პრინციპები -----</b>	<b>115</b>
§1. საკანონმდებლო მოწესრიგება-----	115
§2. კონფიდენციალურობა და ავტონომია-----	116
§3. პარტნიორობა -----	117
§4. ნეიტრალურობა -----	118
§5. გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება-----	120
<b>თავი VI მოწმეთა დაცვის პროგრამის დაფინანსება და</b>	
<b>ხარჯები სხვადასხვა ქვეყნებში -----</b>	<b>121</b>
§1. დაფინანსება-----	121
§2. ხარჯები სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე-----	123
ეროვნული საკანონმდებლო აქტები:-----	155
<b>გამოყენებული ლიტერატურა:-----</b>	<b>157</b>

## რეზიუმე

მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილია სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალური ღონისძიებების შესახებ კვლევა. ამ თემაზე მუშაობა თავიდანვე გადაწყვეტილი მქონდა, რადგან ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ეს თემა არ არის სათანადოდ დამუშავებული. ნაშრომში წამოდგენილია პროგრამის წარმოშობისა და განვითარების ისტორია სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე, განხილულია თუ რომელი სახელმწიფო სტრუქტურები უზრუნველყოფენ ამ პროგრამების განხორციელებას სხვადასხვა ქვეყნებში, როგორია ამ ქვეყნების მიდგომა მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით და ა.შ. ასევე განხილულია საქართველოს ახლანდელი და ადრე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი თავები. ამ თემის შესწავლისას, მრავალი სიახლე აღმოვაჩინე ახალი ინსტიტუტების სახით, რომლებიც ასევე ასახულია მოცემულ ნაშრომში.

ბოლო წლებში ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული გაიზარდა. კრიმინალური დაჯგუფებები თანდათან უფრო მრავალფეროვანნი და ძლიერნი ხდებიან. ისინი უფრო და უფრო ხშირად თანამშრომლობენ ერთმანეთთან სხვადასხვა ფორმით მათი შემდგომი დანაშაულებრივი მიზნების მისაღწევად. დანაშაულის გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში, განსაკუთრებით მაშინ,

როდესაც საქმე გვაქვს სერიოზულ და ორგანიზებულ დანაშაულის რთულ ფორმებთან, აუცილებელია, რომ მოწმეს, როგორც წარმატებული გამოძიებისა და სისხლის სამართლებრივი დევნის ქვაკუთხედს, გაუჩნდეს ნდობა სისხლის სამართლის სისტემის მიმართ.

მოწმეებს და პროცესის სხვა მონაწილეებს ესაჭიროებათ კონფიდენციალობის განცდა, რათა გაუწიონ სრულყოფილი დახმარება სამართალდამცავ სტრუქტურებს და ბრალდების ორგანოებს. ისინი დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ მიიღებენ მხარდაჭერასა და დაცვას ყოველგვარი დაშინებისა და ზიანის თავიდან ასაცილებლად, რომელიც მათ შეიძლება დაემუქროს კრიმინალური დაჯგუფებების მხრიდან გამოძიებასთან თანამშრომლობის გამო.

გაერთიანებული ერების კონვენცია „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ და მისი ოქმები მოუწოდებენ ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს უზრუნველყონ შესაბამისი ღონისძიებები, რომლითაც თავიდან იქნება აცილებული მოწმეთა დაშინება, იძულება, მოსყიდვა თუ სხეულის დაზიანება და გააძლიერონ საერთაშორისო თანამშრომლობა ამ კუთხით. მაშინაც კი, როდესაც ასეთი ღონისძიებები უკვე რეგლამენტირებულია შიდა კანონმდებლობაში, ღონისძიებათა განხორციელების შედეგი ნაკლებ დამაკმაყოფილებელია და შემდგომი პროგრესისთვის სახელმწიფოთა ტრანსსასაზღვრო ერთობლივი თანამშრომლობა აუცილებელია, განსა-

კუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება საიდენტიფიკაციო მონაცემთა შეცვლას და საფრთხის ქვეშ მყოფ მოწმეთა საერთაშორისო გადაყვანას.

გამოცდილება აჩვენებს, რომ მოწმეთა დაცვის სფეროში არ არსებობს მარტივი გადაწყვეტილებები.

## **Resume**

There is presented research about special protective measures for the participants in a criminal proceeding. I had decided to work on this subject at the beginning, because this issue is not properly treated in Georgian legal literature. According to the various countries example, there is presented the origin and development history of this program. There is examined which state agencies provide this program in various countries, what is the attitude of these countries on a range of issues and etc. It is also discussed the relevant chapters of the present and the past Code of Criminal Procedure. When studying this issue, I found a lot of new institutes which are also described in this work.

In recent years transnational organized crime has grown. Criminal organizations are becoming stronger and more diverse. They are engaging more and more frequently in systematic forms of cooperation designed to further their criminal activities. In the investigation and prosecution of crime, particularly the more serious and complex forms of organized crime, it is essential that witnesses, the cornerstones for successful investigation and prosecution, have trust in justice systems.

Witnesses and other participants of the proceeding need to have the confidence to come forward to assist law enforcement and prosecutorial authorities. They need to be



assured that they will receive support and protection from intimidation and the harm that criminal groups may seek to inflict upon them in attempts to discourage or punish them from cooperating.

The United Nations Convention against Transnational Organized Crime and its Protocols call upon State Parties to introduce appropriate measures to prevent witness intimidation, coercion, corruption or bodily injury, and to strengthen international cooperation in this regard. Often though, even where such measures have been legislated, implementation remains less than satisfactory and further progress is needed particularly with regard to cross-border cooperation especially regarding the change of identity and relocation of at-risk witnesses.

Experience has shown that in witness protection there are no easy solutions.

## შესავალი

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის განვითარების სტრატეგიის შემუშავებული სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული იქნა სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგია. სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტის მიზანი იყო საქართველოში შეექმნა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ახალი სისტემა, რომელიც აგებული იქნებოდა შეჯიბრებითობის, საჯაროობის, მხარეთა თანასწორობის, მტკიცებულებათა უშუალო გამოკვლევის, ბრალდებულის უფლებათა პატივისცემისა და სხვა სამართლებრივ პრინციპებზე. საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტი პირველი მოსმენით იქნა მიღებული საქართველოს პარლამენტის მიერ 2006 წლის დეკემბერში. 2009 წლის 9 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც ძალაში შევიდა 2010 წლის 1 ოქტომბერს. აღნიშნულმა კოდექსმა ძირფესვიანად შეცვალა ადრე მოქმედი მთელი რიგი რეგულაციები და ახლებურად მოაწესრიგა სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა დაცვის მექანიზმებიც, რომელიც აისახა IX თავში (სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალური ღონისძიებების გამოყენების წესი).

2011 წლის 11 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზოგიერთ მუხლში და მათ შორის უმეტესი ეხებოდა სწორედ IX თავს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ცვლილებებმა გარკვეულწილად აღმოფხვრა ის უზუსტობები, რომელიც მანამდე არსებობდა, თუმცა კვლავ კოდექსის რეგულირების მიღმა რჩება მთელი რიგი საკითხები. მიგვაჩნია, რომ მსგავსად უამრავი ქვეყნის მაგალითისა, სადაც ამ საკითხებს ცალკე კანონი არეგულირებს, უმჯობესი იქნება, თუკი ჩვენთანაც იარსებებს სპეციალური კანონი, რომელიც მთლიანად სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა დაცვის სფეროში დაარეგულირებს ურთიერთობებს, ვინაიდან იმ საკითხთა წრე, რომლებიც მოითხოვენ კანონში ზუსტ და ერთგვაროვან განსაზღვრებას, საკმაოდ დიდია. ამ თემის გასაიდუმლოებული ხასიათი არ ნიშნავს იმას, რომ კანონდებელი უნდა შემოიფარგლოს მისი მოკლე და ლაკონური რეგულირებით. პირიქით, მისი გასაიდუმლოება ხაზს უსვამს მის მნიშვნელობას, ხოლო მნიშვნელოვანი საკითხის არსებობა უკვე მოითხოვს ზუსტ და ერთგვაროვან საკანონმდებლო რეგულაციას, რომელიც უკეთ უზრუნველყოფს პროგრამის დაცვას ინფორმაციას გამჟღავნებისაგან, ასევე მხარეთა უფლებებს და საზოგადოების ინტერესს. ამავე დროს, ცალკე კანონის მიღებით უკეთ იქნება დაცული და განსაზღვრული სპეციალურ პროგრამაში მონაწილეთა უფლება-მოვალეობები. პროცესის

მონაწილეთა უფლება-მოვალეობების ზუსტი განსაზღვრა კი ემსახურება როგორც სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპს, ასევე საზოგადოების ინტერესებს. კერძოდ, ყველა იმ მესამე პირის ინტერესს, რომელსაც რაიმე სახის სამართლებრივი ურთიერთობა შეიძლება ჰქონდეს პროგრამაში მონაწილე პირთან და რომლის ინტერესებსაც შეიძლება საფრთხე შეექმნას პროგრამის ესოდენ გასაიდუმლოებული ხასიათიდან გამომდინარე. სპეციალური კანონი ასევე გაუადვილებს სისხლის სამართლის თეორიით დაინტერესებულ პირებს და პრაქტიკულ მუშაკებს საქმიანობას. ამ სახელმძღვანელოში ჩვენ შემოგთავაზებთ სპეციალურად ამ თემისთვის შემუშავებულ რეკომენდაციებს, რომელთა ასახვაც კანონმდებლობაში უკეთ დაარეგულირებს პროცესის მონაწილეთა დაცვის სფეროში არსებულ საკითხებს. რა თქმა უნდა, შორს ვართ იმ აზრისგან, რომ მოცემული საკანონმდებლო რეკომენდაციები ყველა საკითხს სრულად მოიცავს. ამ თემასთან დაკავშირებით, სამეცნიერო კვლევა უნდა გაგრძელდეს და სხვა უკვე კარგად შესწავლილ ინსტიტუტებს შორის აღნიშნულმა თემამ უნდა ჰპოვოს თავისი ასახვა ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში.

**თავი I მოწმეთა დაცვის პროგრამა სხვადასხვა  
ქვეყნებში**

**§1. ვინ არის მოწმე და რა ადგილი უკავია სისხლის  
სამართლის პროცესში?**

როგორც ცნობილი ინგლისელი იურისტი და ფილოსოფოსი ჯერემი ბენტამი(1748–1832 წელი) ამბობდა: „მოწმე, ეს არის მართლმსაჯულების ყური და თვალი. მოწმის ჩვენებას აქვს მაგიური ძალა, რომელსაც შეუძლია საქმის მთლიანი მსვლელობა შეცვალოს.“

ზოგადი დეფინიციის მიხედვით, „მოწმე“ არის პიროვნება, რომელიც დაკავშირებულია გარკვეულ მოვლენასთან და რომელსაც შეუძლია ინფორმაციის მოწოდება ამ მოვლენის შესახებ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოწმის არსებობა აუცილებელია, რათა დამტკიცდეს გარკვეული მოვლენის არსებობა ან არ არსებობა. მოწმის მიერ მიცემული ჩვენება დიდ სამსახურს უწევს მართლმსაჯულებას საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენაში და მოწმისაგან ყოველთვის მოელოან სამართლის თქმას.

ზოგადი წესის მიხედვით, ნებისმიერი ადამიანი შეიძლება იყოს მოწმე. საქართველოს კანონმდებლობით მოწმედ მიიჩნევა პირი, რომელმაც შეიძლება იცოდეს სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად საჭირო მონაცემები. მაგრამ სისხლის სამართლის ნებისმიერ სტადიაზე რო-

დი შეიძლება პირი მივიჩნიოდ მოწმედ. პირი მოწმის სტატუსსა და უფლება-მოვალეობებს იძენს სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრთხილებისა და ფიცის დადების შემდეგ. მოწმის დაკითხვა ხდება სასამართლოში. სასამართლოში ჩვენების მიცემისას მოწმის სტატუსით სარგებლობენ და მისი უფლება-მოვალეობები ეკისრებათ ასევე გამომძიებელს, პროკურორს, ბრალდებულს, დაზარალებულს, ექსპერტსა და თარჯიმანს.

მოწმემ დაკითხვამდე ფიცი უნდა დადოს სასამართლოს წინაშე. ფიცი შეიძლება იყოს ან რელიგიური ან არარელიგიური მნიშვნელობის მქონე. ფიცის დადებამდე, სასამართლო ვალდებულია პირს აუხსნას ფიცის მნიშვნელობა და განუმარტოს პასუხისმგებლობა, რომელიც დაწესებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით „ცრუ ჩვენებისათვის“ (სსკ-ის 370-ე მუხლი), „ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის“ (სსკ-ის 371-ე მუხლი) და „არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემისათვის“ (სსკ-ის 371<sup>1</sup>-ე მუხლი).

მოწმის არჩევანის მიხედვით, მას შეუძლია სასამართლოს წინაშე დადოს რელიგიური მნიშვნელობის მქონე ფიცი. ასეთ დროს მოსამართლე მიმართავს მოწმეს: „დაიფიცეთ ყოვლისშემძლე და ყოვლისმცოდნე ღმერთის წინაშე, რომ მთელი შეგნებით იტყვიოთ მხოლოდ სიმართლეს და არაფერს დამალავთ...“

მოწმე უპასუხებს: „ეფიცავ. ღმერთი იყოს ჩემი მფარველი!”<sup>1</sup>

თუ მოწმეს სურს არარელიგიური მნიშვნელობის მქონე ფიცის დადება, ასეთ დროს მოსამართლე მიმართავს მოწმეს: „დაიფიცეთ, რომ მთელი შეგნებით იტყვიot მხოლოდ სიმართლეს და არაფერს დამალავot,„

მოწმე უპასუხებს: „ეფიცავ!”.

თუ მოწმე აცხადებს, რომ იგი თავისი რწმენისათუ სხვა მოსაზრებათა გამო უარს ამბობს ფიცის დადებაზე, მაშინ მან ჩვენება უნდა მისცეს ფიცის შემცველი დადასტურების განხორციელებით. ასეთ დროს მოსამართლე მიმართავს მოწმეს: „სასამართლოს წინაშე პასუხისმგებლობის მთელი შეგნებით ადასტურებot თუ არა, რომ იტყვიot მხოლოდ სიმართლეს და არაფერს დამალავot?„

მოწმე უპასუხებს: „ღიას, ვადასტურებ!”

მოწმის მიერ ფიცის დადების ან ფიცის შემცველი დადასტურების განხორციელების ფაქტი დასტურდება მის მიერ ფიცის ან დადასტურების ტექსტზე ხელმოწერით.<sup>2</sup>

14 წლამდე ასაკის მოწმეს მოსამართლე განუმარტავს მის მოვალეობას, თქვას მხოლოდ სიმართლე,

---

<sup>1</sup>საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი-48-ე მუხლი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 1772-რს 09/10/2009

<sup>2</sup>საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი-48-ე მუხლი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 1772-რს 09/10/2009

მაგრამ არ აფრთხილებს იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც სრულწლოვან პირს დაეკისრება ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის, ცრუ ჩვენების და არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებების მიცემისათვის. კანონმდებელი ასეთ დროს არასრულწლოვანს იცავს იმ შესაძლო სტრესისგან, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მსგავსი იმპერატიული გაფრთხილების გამო და რასაც შესაძლოა უკუშედეგი ჰქონდეს და პირდაპირი ასახვა ჰპოვოს მის მიერ მიცემული ჩვენების სისწორეზე. ცნობილია, რომ თუ მოწმე განიცდის ფსიქოლოგიურ შიშს ან სხვაგვარად არის შებოჭილი სხვა შინაგანი ემოციური მდგომარეობის ან გარე ფაქტორის გამო, მის მიერ მიცემული ჩვენების ან მისი ნაწილის ჭეშმარიტება ეჭვქვეშ შეიძლება დადგეს. ასეთ დროს შესაძლოა ადგილი ჰქონდეს გარკვეულ უზუსტობებს ან ფაქტების არათანმიმდევრულობას, ასევე გარკვეულ მოვლენათა არასრულ აღწერას, რაც უდავოდ შემაფერხებელი გარემოებაა სასამართლოსთვის საბოლოო განაჩენის ფორმირებისთვის და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისათვის; ასევე თუ საქმე განიხილება ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით-ვერდიქტის გამოტანისთვის.

ზოგადად საპროცესო კანონმდებლობით მოწმეს მინიჭებული აქვს ის უფლება-მოვალეობები, რომელსაც საერთაშორისო კონვენციები ითვალისწინებს. შემდეგი მინიმუმის გათვალისწინებით, მოწმეს უფლება აქვს:



- იცოდეს, რა საქმის გამოა გამოძახებული;
- ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით სახელმწიფოს ხარჯზე;
- მოითხოვოს მისი მონაწილეობით შედგენილ საგამოძიებო ოქმში შენიშვნების, დამატებებისა და ცვლილებების შეტანა;
- არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის ან ახლო ნათესავის წინააღმდეგ;
- მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში;
- მოითხოვოს დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენება;

უფლებებთან ერთად მოწმეს ეკისრება ვალდებულება:

- გამოცხადდეს სასამართლოს გამოძახებით;
- უპასუხოს დასმულ შეკითხვებს;
- არ გაამჟღავნოს საქმესთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი გარემოებები, თუ იგი ამის შესახებ გააფრთხილა სასამართლომ;
- დაიცვას წესრიგი საქმის სასამართლო განხილვის დროს;
- სხდომის თავმჯდომარის ნებართვის გარეშე არ დატოვოს სასამართლო სხდომის დარბაზი და ა.შ.

კანონით ასევე განსაზღვრულია იმ პირთა ჩამონათვალი, რომელთაც არ შეიძლება დაეკისროთ მოწმედ დაკითხვისა და საქმისათვის მნიშვნელობის

მქონე ინფორმაციის შემცველი საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის გადაცემის ვალდებულება საყოველთაოდ აღიარებული ზნეობრივი, მორალური თუ სხვა ფაქტორის გამო.<sup>3</sup> ამ ფაქტორთა შორის შეიძლება იყოს პირის კანონით გათვალისწინებული ვალდებულება, არ გაამჟღავნოს პროფესიული, კომერციული, პირადი, სახელმწიფო თუ სხვა სახის საიდუმლო ინფორმაცია.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით მოწმედ გამოცხადების ვალდებულება არ ეკისრება:

- ადვოკატს–იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ამ საქმეში ადვოკატის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით;
- ადვოკატს, რომელიც იურიდიულ დახმარებას უწევდა პირს დაცვის მიღებამდე, – იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა იურიდიული დახმარების გაწევასთან დაკავშირებით;
- სასულიერო პირს – იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა აღსარების ან სხვაგვარად განდობის შედეგად;
- ბრალდებულის ახლო ნათესავს;

---

<sup>3</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 50-ე მუხლი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 1772-რს 09/10/2009

- სახალხო დამცველს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს – იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც სახალხო დამცველს;
- საქართველოს პარლამენტის წევრს – იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც წარმომადგენლობითი ორგანოს წევრს;
- მოსამართლეს – იმ გარემოების შესახებ, რომელიც სასამართლოს თათბირის საიდუმლოებაა;
- ჟურნალისტს – პროფესიული საქმიანობისას მიღებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით;
- ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლს – მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში - (საქართველოს კანონმდებლობით, პირი რომელიც გახდა ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლი, უფლება აქვს ისარგებლოს მოსაფიქრებელი ვადით – არანაკლებ 30 დღისა, რათა მიიღოს გადაწყვეტილება, სურს თუ არა, ითანამშრომლოს სამართალდამცავ ორგანოებთან შესაბამის დანაშაულზე სისხლის სამართლის პროცესის განხორციელებაში).<sup>4</sup>

არ შეიძლება ასევე მოწმედ დაიკითხოს პირი, რომელსაც ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო

---

<sup>4</sup>საქართველოს კანონი „ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ 12-ე მუხლი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №2944 28/04/2006

არ შეუძლია სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და მისცეს ჩვენება.

ზემოთ ჩამოთვლილი იმპერატიული მოთხოვნებისაგან განსხვავებით, რომლის მიხედვითაც აღნიშნული პირები უპირობოდ სარგებლობენ უფლებით არ გამოვიდნენ სასამართლოში მოწმის სტატუსით, საპროცესო კანონმდებლობა განსაზღვრავს სხვა პირთა ჩამონათვალსაც, რომლებიც შეიძლება განთავისუფლდნენ მოწმედ დაკითხვის მოვალეობებისაგან თუკი ამას საჭიროდ ჩათვლის სასამართლო. კერძოდ სასამართლოს უფლება აქვს, მოწმის მოვალეობის შესრულებისაგან გაათავისუფლოს:

- სამედიცინო მუშაკი, თუ მას პროფესიულად ევალება საექიმო (სამედიცინო) საიდუმლოების დაცვა;
- ნოტარიუსი, საჯარო მოსამსახურე, სამხედრო მოსამსახურე და მასთან გათანაბრებული პირი, თუ მათ ნაკისრი აქვთ ვალდებულება, არ გაამჟღავნონ მიღებული ინფორმაციის წყარო და შინაარსი;
- პირი, რომელიც სამუშაოზე იმ პირობით არის მიღებული, რომ არ გაამჟღავნებს კომერციულ ან საბანკო საიდუმლოებას;
- კონტრტერორისტული ან/და სპეციალური ოპერაციის მონაწილე პირი (მის პროფესიულ მოვალეობასთან დაკავშირებით), რომლის საქმიან

ნობაც გასაიდუმლოებულია და ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები სახელმწიფო საიდუმლოებას მიეკუთვნება.<sup>5</sup>

ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების დროს, სასამართლო საქმეზე ობიექტური გარემოებების, საჯარო და კერძო ინტერესების ურთიერთგათვალისწინების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას დაიკითხოს თუ განთავისუფლდეს პირი მოწმის მოვალეობისაგან.

მოწმის მნიშვნელობა განისაზღვრება მის მიერ გაკეთებული განცხადებებისა და მიცემული ჩვენებების მნიშვნელობით და არა ამ ჩვენებების რაოდენობით. თუ ფაქტს სრულად ადასტურებს ორი მოწმე, ეს იგივეა, რომ ფაქტი დაადასტუროს ასმა მოწმემ.<sup>6</sup> განვითარებადი დემოკრატიის მქონე ქვეყნებში განსაკუთრებით მწვავედ დგას მოწმეთა მიმართ უპატივცემულობის საკითხი. ერთ-ერთ დასკვნაში რომელიც ინდოეთის მართლმსაჯულების კომიტეტის მიერ იქნა წარ-

---

<sup>5</sup>საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი-50-ე მუხლი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №1772 09/10/2009

<sup>6</sup>Report on protection of witnesses submitted by: Nishant Gaurav Gupta 4th year 2001B.A.,LL.B.52 National Law Institute University Bhopal გვ.3 (იხ. ასევე-Mr. Justice Buller in Calliand v. Vaughan, 1798; also see H.L. Menkin's Dictionary of Quotations on Historical Principles from Ancient and Modern Sources, Collins, London and Glasgow, 1982 Edition, გვ. 1311)

მოდგენილი, აღინიშნა, რომ: „მოწმეს უნდა მოექცნენ დიდი პატივისცემით და მართლმსაჯულების სისტემა მათ უნდა მიიჩნევდეს ღირსეულ სტუმრებად.“<sup>7</sup>

სამწუხაროდ ხდება ისეც, რომ მოწმეს უწევს ინფორმაციის ნაწილის დამალვა ან ჩვენების შეცვლა მთელი რიგი ფაქტორების გამო, რასაც შეუძლია მთელი საქმის მსვლელობა საპირისპირო მიმართულებით წარმართოს. მოწმეზე შეიძლება ზეგავლენა იქონიოს დაშინებამ, მუქარამ, ზეწოლამ, პატივისა და ღირსების შელახვამ, ფინანსურმა სტიმულატორებმა და ა.შ. ხშირად ამ მიზეზების გამო მოწმეთა დამოკიდებულება მართლმსაჯულებისადმი მტრულადაც კი შეიძლება შეიცვალოს.

საზოგადოების ნდობა მართლმსაჯულებისადმი განისაზღვრება იმით, თუ რამდენად რეაგირებს სასამართლო ხელისუფლება ყოველ ცალკეულ კრიმინალურ შემთხვევაზე და როგორია ამ რეაგირების ობიექტურობის ხარისხი. მოწმეთა დამოკიდებულების შეცვლამ მართლმსაჯულების სისტემისადმი შეიძლება მიგვიყვანოს უდანაშაულო ადამიანების დასჯამდე ან კრიმინალის დაუსჯელობამდე. მიტომ, სამართლიანადაა ნათქვამი, რომ „არაფერი არყვეს საზოგადოებრივ ნდობას სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მიმართ ისე, როგორც ამას აკეთებს

---

<sup>7</sup> იხ. იქვე გვ.6 (იხ. ასევე-Committee on Refoms in Criminal Justice System, Headed by Justice Mallimath., Volume I, გვ. 151)

მოწმეთა დამოკიდებულების მტრულად შეცვლა და მათ მიერვე მიცემული ჩვენების უარყოფა“<sup>8</sup>.

## §2. ამერიკის შეერთებული შტატები

მოწმეთა დაცვის ინსტიტუტის ამოქმედება პირველად ამერიკის შეერთებულ შტატებში 1970-იან წლებში მოხდა. ამ პერიოდისათვის ამერიკაში მკაფიოდ დადგა საკითხი იმის შესახებ, რომ აუცილებელი იყო კრიმინალურ დაჯგუფებებთან საბრძოლველად ეფექტური ღონისძიებების შემუშავება. მოწმეთა დაცვის ინსტიტუტი მიზნად ისახავდა ქვეყანაში არსებული გაბატონებული „მაფიის“ მყარი სტრუქტურის რღვევას და არსებული კრიმინოგენული სიტუაციის დარეგულირებას.<sup>9</sup>

---

<sup>8</sup>Report on protection of witnesses submitted by: Nishant Gaurav Gupta 4th year 2001B.A.,LL.B.52 National Law Institute University Bhopal გვ.3 (იხ. ასევე The Indian Express, October 26, 2003, The Columnists, Witness Protection by Soli Sorabjee)

<sup>9</sup>United Nations Office on Drugs and Crime Vienna, UNITED NATIONS New York, 2008-Good Practices for the Protection of Witnesses in Criminal Proceedings Involving Organized Crime გვ.7 (იხ. Fred Montanino, “Unintended victims of organized crime witness protection”, Criminal Justice Policy Review, vol. 2, No. 4 (1987), გვ. 392–408.)

ამ დროიდან მოყოლებული, მოწმეთა დაცვის ინსტიტუტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები ემსახურებოდა იმ ადამიანების დაცვას, რომლებიც დაუწერელი კანონის, ე.წ. „**ღუმილის კოდექსის**“ (code of silence) მსხვერპლნი იყვნენ. „ღუმილის კოდექსი“-ეს იყო კრიმინალურ სამყაროში მოქმედი დაუწერელი ქცევის წესი, რომლის მიხედვითაც პირი ნებით თუ ძალდატანებით ვალდებული იყო საიდუმლოდ შეენახა კრიმინალური დაჯგუფებისთვის სასიცოცხლო, მნიშვნელოვანი ინფორმაცია და არ გაემხილა ის სამართალდამცავი ორგანოებისთვის. ხშირად ამას წინ უძღვოდა დაშინება, მუქარა და იძულების სხვა ხერხები.

„ღუმილის კოდექსის“ ყველაზე ცნობილი მაგალითია „ომერტა“(omerta ლათინურად-omertà, რაც ნიშნავს „მორჩილებას“)<sup>10</sup>, რომელიც „**მაფიის ღუმილის კოდექსითაც**“ მოიხსენიება და მოქმედებდა მაფიის წევრებს შორის. ამ დაუწერელ კანონს განსაკუთრებული მონდომებით იცავდა ყველა. მისი ეფექტური მოქმედება განპირობებული იყო იმით, რომ თითოეულს გაცნობიერებული ჰქონდა მისი სავალდებულოება კრიმინალურ დაჯგუფებებში და ისინი ერთგვარი „მძევლებიც“ კი ხდებოდნენ თავიანთი წინარე მოქმედებების, როდესაც მათ საკუთარი ცხოვრება ამგავრ დაჯგუფებებს დაუკავშირეს. დაჯგუფებიდან მშვიდობიანი გას-

---

<sup>10</sup><http://en.wikipedia.org/wiki/Omerta>



ვლა უკვე ითვლებოდა ამ წესის დარღვევად, რაც უცილობელ საფრთხეს უქადდა პირს.

სხვათაშორის, მსგავსი წესები მოქმედებს პოლიციის ოფიცრებისთვის ამერიკის შეერთებულ შტატებშიც. „დუმილის ლურჯი კოდექსი“ (The Blue Code of Silence) არის დაუწერელი წესი პოლიციის ოფიცრებს შორის, რომელიც უფლებას აძლევს პოლიციელს არ გააკეთოს მოხსენება კოლეგის შეცდომებზე, გადაცდომებზე ან დანაშაულზე. მაშინაც კი, როდესაც მიმდინარეობს გამოძიება და პოლიციის ოფიცერი იკითხება მომხდარის შესახებ, მას „დუმილის ლურჯი კოდექსის“ თანახმად, უფლება აქვს იგნორირება გაუკეთოს ისეთ დასმულ შეკითხვებს, რომელზე პასუხიც ამხელს მის კოლეგას. ბოლო დროს ამგვარი წესების არსებობა ხშირად საკამათო ხდება, რადგან საკითხი დგება ეთიკის, კოლეგიალობისა და კანონის უზენაესობის ურთიერთდაპირისპირებაზე.<sup>11</sup>

ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის გამოცდილებამ ნათლად წარმოაჩინა, რომ ურთულეს ამოცანას წარმოადგენდა მოწმეთა დათანხმება გამოძიებისთვის მიეცათ ჩვენება. კრიმინალური დაჯგუფებები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ სამართალდამცავებისთვის ხელი შეეშალათ ნებისმიერი ხერხით, იქნებოდა ეს მოწმეზე ან მის ახლობლებზე ზემოქმედება, მუქარა ჯანმრთელობის, სიცოცხლის თუ ქონების განადგურების მიზნით, მათ შორის

---

<sup>11</sup>[http://en.wikipedia.org/wiki/Blue\\_Code\\_of\\_Silence](http://en.wikipedia.org/wiki/Blue_Code_of_Silence)

მნიშვნელოვანი თვითმხილველების „გაქრობითაც“ კი. სწორედ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის გამოცდილებამ დაარწმუნა ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტი (United States Department of Justice), რომ უნდა შექმნილიყო ისეთი მექანიზმი, მოწმეთა უსაფრთხოების პროგრამის სახით (Witness Security-WITSEC), რომელიც სახელმწიფოს დაეხმარებოდა ორგანიზებულ დანაშაულთან წინააღმდეგ ბრძოლაში. თანდათანობით ზღვარი ორგანიზებულ და ინდივიდუალურ დანაშაულს შორის გაქრა და პროგრამაში ჩართვა შეეძლო ყველას, ვინც აკმაყოფილებდა პროგრამაში დასაშვებობისთვის აუცილებელ კრიტერიუმებს.<sup>12</sup>(იხ. ქვემოთ)

იოზეფ ვალაჩი იყო პირველი წევრი იტალიურ-ამერიკული მაფიისა, რომელმაც დაარღვია „ღუმის კოდექსი“(omertà, the code of silence). 1963 წელს მან პირველმა მისცა ჩვენება აშშ-ის კონგრესის კომიტეტს მაფიის შიდა სტრუქტურის და ორგანიზების შესახებ. მისი ამგვარი თანამშრომლობა განპირობებული იყო შიშით, რადგან მას სიკვდილით ემუქრებოდა ერთ-ერთი მაფიოზური დაჯგუფების ბოსი ვიტო გონავესი. როდესაც ვალაჩი წარსდგა კომიტეტის წინაშე, მას იცავდა 200-მდე დაცვის ოფიცერი. მის მოსაკლავად დაწესებული იყო 100 000(ასი ათასი)

---

<sup>12</sup> Fred Montanino, “Unintended victims of organized crime witness protection”, Criminal Justice Policy Review, vol. 2, No. 4 (1987), გვ. 392–408.

ამერიკული დოლარი. ის იყო პირველი ადამიანი აშშ-ის ისტორიაში, რომლის მიმართაც ოფიციალურად ამოქმედდა მოწმეთა უსაფრთხოების პროგრამა. მიუხედავად გამოძიებასთან თანამშრომლობისა, ვალანს მიესაჯა სამუდამო პატიმრობა და იგი სიცოცხლის ბოლომდე იმყოფებოდა გაძლიერებული დაცვის მეთვალყურეობაში. იგი იმყოფებოდა სხვა პატიმრებისგან განცალკევებით და მისი ურთიერთობა შემოიფარგლებოდა მხოლოდ ფედერალური ბიუროს აგენტებთან და საგამოძიებო ორგანოს თანამშრომლებთან შეხვედრებით. ამგვარი ზომების მიუხედავად, იმდენად დიდი იყო იმდროინდელ ამერიკაში კრიმინალურ დაჯგუფებათა გავლენა, რომ იოზეფ ვალანმა მოითხოვა საკუთარი ხელით დაემზადებინა ციხეში საჭმელი. შაბლოლოდ იგი პატიმრობაში გარდაიცვალა.<sup>13</sup>

1970 წელს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის დეპარტამენტმა აშშ-ის იუსტიციის მინისტრს მიანიჭა უფლებამოსილება გამოეყენებინა მოწმეთა უსაფრთხოების პროგრამის ფარგლებში ღონისძიებები იმ პირთა დასაცავად, რომლებიც ითანამშრომ-

---

<sup>13</sup>United Nations Office on Drugs and Crime Vienna, UNITED NATIONS New York, 2008-Good Practices for the Protection of Witnesses in Criminal Proceedings Involving Organized Crime გვ. 7

ლებდნენ გამოძიებასთან ორგანიზებულ დანაშაულთან ან სხვა მიძიმე დანაშაულთან დაკავშირებით.<sup>14</sup>

თავდაპირველად, მოწმის უსაფრთხოების პროგრამა (WITSEC) ითვალისწინებდა შეზღუდული რაოდენობის დაცვის ღონისძიებებს და მოიცავდა მოწმეთა ფიზიკურ დაცვას, საცხოვრებელი არეალის და საიდენტიფიკაციო მონაცემების შეცვლას.

## §2.1 პროგრამაში ჩართვა

1984 წლისათვის მოწმეთა უსაფრთხოების პროგრამის ეგიდით უკვე უამრავი ღონისძიება იქნა გატარებული და საკმარისი გამოცდილებაც დაგროვდა, რამაც ნათლად წარმოაჩინა პროგრამის ხარვეზები. ამის შემდგომ საჭირო გახდა გარკვეული რეფორმების გატარება, რათა პროგრამის ეფექტურობა გაზრდილიყო. კერძოდ, განისაზღვრა:

1. მიღების მკაცრი კრიტერიუმები;
2. მსხვერპლთა კომპენსაციის ფონდის შექმნა ისეთი დანაშაულისთვის, რომელიც ჩადენილი იყო პროგრამაში მონაწილე პირის მიერ;

---

<sup>14</sup>United Nations Office on Drugs and Crime Vienna, UNITED NATIONS New York, 2008-Good Practices for the Protection of Witnesses in Criminal Proceedings Involving Organized Crime გვ. 8

3. მოწმის ვალდებულებების განსაზღვრა-ერთიერთგაგების მემორანდუმი;
  4. მემორანდუმის დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობის პირობები;
  5. მექანიზმები საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილების მიზნით;
  6. მესამე პირების და მოწმეთა უფლებების დაცვა.<sup>15</sup>
1. მიღების მკაცრი კრიტერიუმების დაწესებაში იგულისხმება ის, რომ საქმე უნდა იყოს მნიშვნელოვანი, მოწმის ჩვენება კი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისათვის გადამწყვეტი და არ უნდა არსებობდეს ალტერნატიული გზა, რომლითაც შეიძლება მოწმის ფიზიკური დაცვის განხორციელება. ამავე დროს, საფრთხე უნდა იყოს რეალური და უნდა არსებობდეს საკმარისი ნდობა და გარანტია იმისა, რომ მოწმე უარს არ განაცხადებს სასამართლოში ჩვენების მიცემაზე. ამ გარანტიების და ნდობის მოსაპოვებლად ხშირად წინასწარი შეხვედრები ხდება სოციალური მუშაკების მეშვეობით.

ამავე კრიტერიუმებთან ერთად არსებობს სხვა მნიშვნელოვანი კრიტერიუმებიც. მაგალითად, მოწმის ფსიქოლოგიური პროტრეტის განსაზღვრა. ფსიქოლოგიური პროტრეტის მიხედვით სპეციალისტებს შესაძლებლობა ეძლევათ განსაზღვრონ

---

<sup>15</sup>იხ. იქვე გვ. 8

თუ რამდენად აქვს მოწმეს უნარი დაიცვას მემორანდუმით გათვალისწინებული წესები და შეზღუდვები. მოწმეთა უსაფრთხოების პროგრამის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებით საფრთხე შეიძლება შეექმნას არა მარტო დასაცავ პირს, არამედ პროგრამის სხვა მონაწილეებსაც, ამიტომ ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.<sup>16</sup>

2. მას შემდეგ, რაც პირი გახდება მოწმეთა უსაფრთხოების პროგრამის მონაწილე, შეერთებული შტატების ხელისუფლება პასუხისმგებლობას იღებს როგორც მის სრულ დაცვაზე, ასევე მის მოქმედებებზეც. პირის პროგრამაში ჩართვას დადებითი მხარის გარდა გააჩნია გარკვეული რისკებიც. ერთის მხრივ, მართლმსაჯულებისათვის მიწოდებული ინფორმაცია მნიშვნელოვან სამსახურს უწევს სამართალდამცველებს დანაშაულის გახსნისა და პრევენციის კუთხით, ხოლო მეორეს მხრივ, უნდა გვახსოვდეს, რომ მოწმეთა დაცვის პროგრამის მონაწილენი უმრავლესად არიან ისეთი პირები, რომელთაც კრიმინალური წარსული აქვთ. ამ მხრივ, მათი თავისუფლებაში დატოვებით გარკვეული საფრთხეები საზოგადოებისთვის კვლავ რჩება. სწორედ ამიტომ, აუცილებელი გახ-

---

<sup>16</sup>United Nations Office on Drugs and Crime Vienna, UNITED NATIONS New York, 2008-Good Practices for the Protection of Witnesses in Criminal Proceedings Involving Organized Crime გვ. 8

და შექმნილიყო დაზარალებულთა კომპენსაციის ფონდი, საიდანაც მოხდებოდა იმ მატერიალური ზიანის ანაზღაურება მოქალაქეებისთვის, რომელიც პროგრამაში მონაწილე პირების მხრიდან წარმოიშვა.

3. შეერთებულ შტატებში პირის თანამშრომლობა გამოძიებასთან/მართლმსაჯულებასთან და მისი მოწმეთა უსაფრთხოების პროგრამაში ჩართვა ფორმდება ურთიერთგაგების მემორანდუმის სახით. მემორანდუმი არის ხელშეკრულება, რომლის მხარეებს წარმოადგენენ სახელმწიფო-პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურის სახით და პროგრამაში ჩართვის მსურველი პირი. მემორანდუმით ხდება პროგრამაში მონაწილეობის, მისი შემდგომი გაგრძელებისა და შეწყვეტის პირობების გათვალისწინება. მემორანდუმში ასევე გათვალისწინებული უნდა იქნას მხარეთა უფლება მოვალეობები(ის. ქვემოთ).
4. მემორანდუმით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში, შესაძლოა მოხდეს მისი შეჩერება, პირის მიერ შესაბამისი მოქმედების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების განხორციელებაამდე ან მისი შეწყვეტა, რაც ავტომატურად გულისხმობს გამოყენებული დაცვის სპეციალური ღონისძიებების გაუქმებას. ზოგიერთ შემთხვევა-

ში, შესაძლოა დადგეს დამრღვევის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხიც.

5. სხვა ვალდებულებებთან ერთად, მემორანდუმით ხდება კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის ვალდებულების დაწესება, როგორც მემორანდუმის მხარეთათვის, ასევე ყველა იმ მესამე პირისთვის, რომელსაც შეიძლება ხელი მიუწვდებოდეს ასეთ ინფორმაციაზე. მემორანდუმით დაწესებულია პირის ვინაობის(შეცვლამდე და შეცვლის შემდგომ არსებული საიდენტიფიკაციო მონაცემები), საცხოვრებელი ადგილის და სხვა ინფორმაციის გამჟღავნებისთვის პასუხისმგებლობა.
6. ყოველი ადამიანი, რომელიც თანამშრომლობს მართლმსაჯულებასთან და ხდება პროგრამის მონაწილე, საჭიროებს განსხვავებულ მიდგომას და შესაბამისად მემორანდუმის პირობებიც განსხვავებული უნდა იყოს. პროგრამაში ჩართვით ხდება პირის სრული გასაიდუმლოება. ცხადია, ამან საფრთხე არ უნდა შეუქმნას მანამდე წარმოშობილ სამოქალაქო ვალდებულებების შესრულებას. ამიტომ, მემორანდუმის გაფორმებისას გათვალისწინებული უნდა იყოს პროგრამაში ჩართვის მსურველი პირის კრედიტორთა ინტერესებიც რათა დაცული იყოს ბალანსი, ერთის მხრივ, პროგრამის ძირითად პრინციპს - კონფიდენციალობასა და მეორეს მხრივ, სამართლის ძირითად ფუნდა-



მენტურ პრინციპს - ვალდებულების შესრულების აუცილებლობას შორის.

## **§2.2 მოწმეთა უსაფრთხოების პროგრამის განხორციელება**

სამი ორგანიზაცია უზრუნველყოფს მოწმეთა უსაფრთხოების პროგრამის განხორციელებას ამერიკის შეერთებულ შტატებში:

1. შეერთებული შტატების **მარშალის პროგრამა** - რომლის უშუალო ამოცანას წარმოადგენს პროგრამის მონაწილის უსაფრთხოებაზე და ჯანმრთელობაზე ზრუნვა.
2. შეერთებული შტატების **იუსტიციის დეპარტამენტი** - **სააფსრულებო ოპერაციათა ოფისი** (U.S. Department of Justice-OEO)-რომელიც უზრუნველყოფს ისეთი მოწმეების პროგრამაში ჩართვას, რომლის სიცოცხლე ნარკოტიკებთან, ტერორიზმთან ან ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებით მიცემული ჩვენების გამო საფრთხეშია.
3. შეერთებული შტატების **სასაქვალსრულებების ფედერალური ბიურო** (BOP)-რომელიც უზრუნ-

ველყოფს პატიმრობაში მყოფი მოწმეების უსაფრთხოებას.<sup>17</sup>

მოწმეების პროგრამაში დასაშვებობის პროცესი იწყება მაშინ, როდესაც სახელმწიფო ან ფედერალური სააგენტო დაადასტურებს პროგრამაში მონაწილეობის მოთხოვნის არსებობას. პროგრამაში მონაწილეობის მოთხოვნისთვის აუცილებელია წინასწარ შეივსოს სპეციალური სააპლიკაციო ფორმა, რომელიც შემდგომ იგზავნება სააღსრულებო ოპერაციათა დეპარტამენტში (OEO). აპლიკაციაში მოკლედ არის გადმოცემული ის ჩვენება, რომლის გამოც მოთხოვნილია პროგრამაში დაშვება, ასევე გადმოცემულია მის მიმართ არსებული საფრთხეები და შეფასებულია ის რისკ-ფაქტორები, რომელიც არსებობს ახალ საზოგადოებაში მისი გადასახლების გამო. ვინაიდან პროგრამაში მონაწილე მოწმეთა უმრავლესობა თავად არიან კრიმინალები.<sup>18</sup>

ამის შემდგომ, სააღსრულებო ოპერაციათა დეპარტამენტი (OEO) კონსულტაციებს აწარმოებს მარშალის პროგრამასთან. ამ პროგრამის ფარგლებში ხდება მოწმესთან წინასწარი გასაუბრება პროკურორის სავალდებულო მანაწილეობით. გასაუბრების მიზანია ადეკვატურად შეფასდეს ის მოლოდინი, რომელიც გააჩნია მოწმეს პროგრამაში ჩართვის და ახალი ცხოვრების დაწყების მიმართ. გასაუბრების შემ-

---

<sup>17</sup><http://people.howstuffworks.com/witness-protection.htm>

<sup>18</sup><http://people.howstuffworks.com/witness-protection2.htm>

დგომ, მარშალის პროგრამის ექსპერტები აკათებენ თავიანთ დასკვნებს ამასთან დაკავშირებით და უზუნაზიან სააღსრულებო ოპერაციათა დეპარტამენტს (OEO).<sup>19</sup>

საბოლოო უფლებამოსილება მოწმის პროგრამაში დაშვებაზე ეკუთვნის შეერთებული შტატების იუსტიციის მინისტრს. იუსტიციის მინისტრის ეს უფლებამოსილება განსაზღვრულია „ორგანიზებულ დანაშაულთა კონტროლის შესახებ“<sup>20</sup> და „მოწმეთა უსაფრთხოების რეფორმირების აქტით“.<sup>21</sup> იუსტიციის მინისტრი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი განიხილავს მარშალის პროგრამის ფარგლებში შემუშავებულ რეკომენდაციებს იმ საფრთხეების შესახებ, რომლებიც არსებობს მოწმის ან მისი ოჯახის წევრების მხრიდან საზოგადოებისთვის. იუსტიციის მინისტრი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი აფასებს პირის კრიმინალურ წარსულს, ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობას და პოტენციურ მოწმეთა სხვა ჩვენებებს.

თუ მოწმის ჩვენების მნიშვნელობა აღემატება იმ საფრთხეს, რომელიც საზოგადოებას ემუქრება მოწმის მხრიდან, იუსტიციის მინისტრი იღებს გადაწყვეტილებას მოწმეთა დაცვის პროგრამაში პირის დაშვების შესახებ. ამის შემდგომ, მოწმესთან და პროგ-

---

<sup>19</sup><http://people.howstuffworks.com/witness-protection2.htm>

<sup>20</sup> Organized Crime Control Act of 1970

<sup>21</sup> The Witness Security Reform Act of 1984

რამაში მონაწილე მისი ოჯახის წევრებთან ფორმდება ურთიერთგაგების მემორანდუმი, სადაც დეტალურად არის გაწერილი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მხარეთა უფლება-მოვალეობები. მემორანდუმზე ხელის მოწერით მოწმე ადასტურებს, რომ ეთანხმება პროგრამის წესებს.<sup>22</sup>

პირის პროგრამაში დაშვება პირველი გადადგმული ნაბიჯია სრული ანონიმურობისკენ. უმთავრესი მაინც პირის იმ ახალ საზოგადოებაში სრული ინტეგრაციაა, სადაც მას ვერავინ ამოიცნობს. ამერიკის შეერთებულ შტატებში სამას მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობს და ათასობით ქალაქია, სადაც მოწმის გადამალვაა შესაძლებელი. მარშალის პროგრამის ერთ-ერთ ამოცანას წამოადგენს სწორედ ისეთი საცხოვრებელი ქალაქის შერჩევა, სადაც მოწმე და მისი ოჯახის წევრები შეცვლილი საიდენტიფიკაციო მონაცემებით დარჩებიან საცხოვრებლად, ხშირად სიცოცხლის ბოლომდეც. მთელი ეს პროცესი გულისხმობს სამთავრობო და ფედერალურ სააგენტოებთან კოორდინირებულ მუშაობას და სრულ ანონიმურობას.<sup>23</sup>

მას შემდეგ, რაც მოწმე და მისი ოჯახის სხვა წევრები მიიღებენ თანხმობას პროგრამაში ჩართვის შესახებ, ისინი დაუყოვნებლივ ტოვებენ არსებულ

---

<sup>22</sup><http://people.howstuffworks.com/witness-protection2.htm>

<sup>23</sup><http://people.howstuffworks.com/witness-protection3.htm>

საცხოვრებელ ადგილს და მათი გადაყვანა ხდება დროებით უსაფრთხო ზონაში.

ახალ ქალაქში ახალი ცხოვრების დაწყება არ გულისხმობს მოწმისთვის წარსული „ცოდვების“ პატიებას. მარშალის პროგრამის მეშვეობით ადგილობრივი ფედერალურისამართალდამცავი ორგანოები მუდმივად იღებენ ინფორმაციას ასეთი მოწმეების მათ ქალაქში გამოჩენის შესახებ.<sup>24</sup> ისინი ინფორმირებულები არიან ასევე მოწმის კრიმინალური ისტორიის შესახება და მათ სრული დისკრეცია აქვთ დაიწყონ სისხლისსამართლებრივი დევნა, გარდა იმ დანაშაულებისა, რომლის გამოც მოხდა მისი პროგრამაში ჩართვა.

მარშალის პროგრამა ასევე მოიცავს პერიოდულ ალკოჰოლურ და ნარკოლოგიურ შემოწმებებსაც. ახალ ქალაქში გადასახლება გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, ამიტომ ასეთი შემთხვევებისთვის მარშალის პროგრამა მონაწილეებისთვის უზრუნველყოფს:

1. მოწმის შესაძლებლობების გათვალისწინებით შესაფერისი სამუშაოს მოძებნას;
2. საცხოვრებელი სახლით უზრუნველყოფას;
3. საშუალოდ, ყოველწლიურად სამოცი ათასი ამერიკული დოლარით დახმარებას (სამსახურის დაწყებამდე);

---

<sup>24</sup><http://people.howstuffworks.com/witness-protection3.htm>

4. მისი და მისი ოჯახის წევრთათვის დოკუმენტაციის შეცვლას;
5. ფსიქოლოგიური და ფსიქიატრიული დახმარებას;
6. სოციალურ მუშაკთან შეხვედრებს.<sup>25</sup>

შეერთებული შტატების მთავრობა მარშალის პროგრამაში მონაწილეებს ეხმარება ფინანსურად სამუშაოს დაწყებამდე. ადგილობრივი მთავრობა ღებულობს ინფორმაციებს მოწმის ადგილმდებარეობის შესახებაც და ეხმარება მას, რაც შეიძლება მალე იშოვოს შესაფერისი სამუშაო. თუ მოწმე ჯიუტად თავს აარიდებს ან უარს განაცხადებს სამუშაოს დაწყებაზე, მას ფინანსური დახმარება მოეხსნება. ხოლო როგორც კი მოხდება მოწმის სრული ინტეგრაცია ახალ საზოგადოებაში, მას ადგილობრივ მთავრობასთან მხოლოდ წელიწადში ერთხელ მოუწევს კონტაქტი.

საიდენტიფიკაციო მონაცემების შეცვლისას მოწმისთვის სავალდებულო არ არის სრულად შეცვალოს ინფორმაცია. მას უფლება ეძლევა სახელის პირველი ნაწილი ან მთლიანი სახელი უცვლელად შეინარჩუნოს, ხოლო გვარის შემთხვევაში ასეთი უფლება არ არის გათვალისწინებული. პროგრამაში ჩართვის შემდგომ, მოწმეს ეკრძალება ყოფილ მეგობრებთან და ოჯახის დაუცველ წევრებთან ყოველგვარი კონტაქტი. მათ ასევე აკრძალული აქვთ

---

<sup>25</sup><http://people.howstuffworks.com/witness-protection3.htm>

იმ ქალაქში დაბრუნება, საიდანაც წამოვიდნენ. მარშალის პროგრამის სტატისტიკის მიხედვით, არც ერთი მოწმე არ დგება რაიმე საფრთხის ქვეშ, თუ ის მემორანდუმით გათვალისწინებულ ყველა პირობას ასრულებს.<sup>26</sup>

როდესაც არსებობს განსაკუთრებით მომეტებული საფრთხე, მარშალის პროგრამა უზრუნველყოფს მოწმის 24 საათიან დაცვას სასამართლო პროცესის დაწყებამდე და მისი მიმდინარეობისას. როგორც კი სასამართლო პროცესი დამთავრდება და დამნაშავეები პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი, მოწმისა და მისი ოჯახის ცხოვრებაში იწყება სრულიად ახალი ეტაპი.

თუმცა ხდება ისეც, რომ პროგრამაში ჩართული ადამიანები დროდადრო კანონსაც არღვევენ. რეციდივის შემთხვევები პროგრამის მონაწილეთა 17%-ს არ აღემატება, რაც დაბალ მაჩვენებლად მიიჩნევა შეერთებულ შტატებში.

თუ პროგრამაში მონაწილე პირს დააკავებენ, მისი სამართლებრივი სტატუსი იცვლება და მის დაცვაზე პასუხისმგებლობას იღებს შტატების სასჯელაღსრულების ფედერალური ბიურო. თუ დანაშაულის ჩადენას შედეგად მატერიალური ზიანი მოჰყვა, დაზარალებულებს მიეცამათ კომპენსაცია სპეციალურად ამგვარი შემთხვევებისთვის გათვალისწინე-

---

<sup>26</sup><http://people.howstuffworks.com/witness-protection5.htm>

ბული ფონდიდან (Victims Compensation Fund). ფონდი აანაზღაურებს:

- სამედიცინო ხარჯებს;
- დაკრძალვის ხარჯებს;
- მიუღებელი ხელფასის ხარჯებს.<sup>27</sup>

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 1970 წლიდან დღემდე 10 000 (ათი ათასი) კრიმინალზე მეტი იქნა მსჯავრდებული, ხოლო 7500-მა მოწმემ და 9500-ზე მეტმა მათი ოჯახის წევრმა ისარგებლა მოწმეთა უსაფრთხოების პროგრამის ფარგლებში.

რიგ ქვეყნებში მოწმეთა დაცვის პროგრამის განხორციელების პროცესს კორდინაციას უწევს მთავრობა, პოლიციის ორგანოები, პროკურატურა და სასამართლო.

დღესდღეობით, მოწმეთა დაცვის პროგრამა განიხილება როგორც უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის წინააღმდეგ და მსოფლიოს უამრავმა ქვეყანამ შექმნა სპეციალური დაცვის პროგრამა.<sup>28</sup>

განვიხილოთ რამდენიმე ქვეყნის მაგალითი სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის პირობებში და ვნახოთ თუ როგორ ჩამოყალიბდა მათთან აღნიშნული ინსტიტუტი.

---

<sup>27</sup> U.S. Code Title 18, Section 3525

<sup>28</sup>United Nations Office on Drugs and Crime Vienna, UNITED NATIONS New York, 2008-Good Practices for the Protection of Witnesses in Criminal Proceedings Involving Organized Crime გვ. 8



### §3. ავსტრალია

1983 წელს ავსტრალიის სამეფო კომისიის დასკვნაში ხაზგასმული იყო ის ფაქტი, რომ ორგანიზებულ დანაშაულთან წინააღმდეგ ბრძოლაში ინფორმატორების უკეთ გამოყენებისათვის და იმისათვის, რომ წაეხალისებინათ წვრილმანი დანაშაულის ჩამდენნი-ემხილებინათ ორგანიზატორები, საჭირო იყო გარკვეული მექანიზმების შემუშავება. იმ მომენტისთვის მოწმეთა დაცვის ინსტიტუტი ამუშაინდელი ფორმით არ არსებობდა. ადგილობრივი პოლიციის როლი განსხვავებული იყო სხვადასხვა რაიონების მიხედვით და ძირითადად აქცენტი კეთდებოდა 24 საათიან დაცვაზე და მოწმეთა ვინაობის შეცვლაზე.<sup>29</sup>

1988 წელს ავსტრალიის პარლამენტის გაერთიანებული კომიტეტის (Parliamentary Joint Committee) მიერ ჩატარდა ფართომასშტაბიანი გამოკვლევა მოწმეთა დაცვის სფეროში არსებულ საკითხებზე და დადგინდა, რომ საჭირო იყო ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობის საერთო სტანდარტებზე გადასულიყვნენ, რომელსაც მოწმეთა დაცვის სფეროში უკვე მიღებული ჰქონდა აქტი.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ავსტრალიის კანონმდებლობით განისაზღვრა მექანიზმები იმისათვის, რომ პიროვნებას, რომელიც ჩართული იყო მოწმეთა

---

<sup>29</sup>იხ. იქვე გვ. 9

**დაცვის ეროვნულ პროგრამაში** (National Witness Protection Program-NWPP), თავი არ აერიდებინა სამოქალაქო და სხვა სახის პასუხისმგებლობისათვის შეცვლილი საიდენტიფიკაციო მონაცემების გამოყენებით. ამავე პროგრამის ფარგლებში შეიქმნა მექანიზმები იმ პირთა პასუხისმგებლობის დასაწესებლად, რომლებიც გაახმაურებდნენ მოწმეთა დაცვის ეროვნულ პროგრამაში (NWPP) დაცულ ინფორმაციას.

1997 წელს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები, რომელიც მოწმეთა დაცვის ეროვნულ პროგრამაში მონაწილეს აძლევდა უფლებას გაემქდავებინა მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელიც საჭირო იყო საჩივრის შესატანად სასამართლოში, ადმინისტრაციულ ორგანოში ან ომბუცმენისადმი მიმართვისთვის. 2002 წელს მიღებული ცვლილებებით მოწმეთა დაცვის ეროვნულ პროგრამაში ჩართვა შესაძლებელი გახდა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს მიმართვის საფუძველზეც.

ამის შემდგომ, ავსტალიასა და მისდამი დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე ამოქმედდა სხვადასხვა აქტები:

- სამხრეთ და დასავლეთ ავსტრალია-მოწმეთა დაცვის აქტი(1996);
- ჩრდილოეთ ავსტრალია-მოწმეთა დაცვის აქტი(2002);
- ტასმანია-მოწმეთა დაცვის აქტი(2000);

- ვიქტორია-მოწმეთა დაცვის აქტი(1999) .<sup>30</sup>

#### **§4. ჩინეთი, ჰონ-კონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონი**

1994 წელს ჰონ კონგის პოლიციამ მიიღო გადაწყვეტილება შეექმნათ adhoc ტრიბუნალის მოწმეთა დაცვის პროგრამა. იგივე პროგრამა განხორციელდა 1998 წელს, როდესაც შეიქმნა დამოუკიდებელი კომისია კორუფციასთან ბრძოლის წინააღმდეგ (ICAC).<sup>31</sup>

#### **§5. კოლუმბია**

კოლუმბიაში მოწმეთა დაცვის პროგრამას შორს მიმავალი ფესვები აქვს და იგი სათავეს კოლუმბიის 1991 წლის კონსტიტუციიდან იღებს, სადაც გენერალური პროკურორის ჩამოთვლილ ფუნქციებთან ერთად მითითებულია მისი ვალდებულება-დაიცვას მოწმეები, დაზარალებულები და პროცესის სხვა მონაწილეები. კოლუმბიის კანონმდებლობით (No. 418 of 1997) მოქმედებს მოწმეთა დაცვის სამი განსხვავებუ-

---

<sup>30</sup>United Nations Office on Drugs and Crime Vienna, UNITED NATIONS New York, 2008-Good Practices for the Protection of Witnesses in Criminal Proceedings Involving Organized Crime გვ. 9

<sup>31</sup>იხ. იქვე გვ. 10

ლი პროგრამა, რომელიც გამოიყენება გენერალური პროკურორის მიმართვის საფუძველზე.<sup>32</sup> მოწმეებს, რომლებიც დაკავშირებულნი არიან გატაცებასთან, ტერორიზმთან ან ნარკოტიკულ დანაშაულებთან, დაცვის ღონისძიების სახით ეძლევათ:

- მატერიალური დახმარება ახალი ცხოვრების დასაწყებად;
- ფსიქოლოგიური დახმარება;
- სამედიცინო მომსახურება და კონსულტაციები.

ისინი ასევე უზრუნველყოფილნი არიან ყველა იმ საშუალებით, რომელიც გადასახლებისათვის და ახალი დოკუმენტაციის მოსაპოვებლად არის საჭირო.

კანონის თანახმად, პროგრამის მონაწილეზე აღარ გავრცელდება სახელმწიფოს ვალდებულება დაცვის ღონისძიებით უზრუნველყოფის თაობაზე თუ:

- პირი, დაუსაბუთებლად იტყვის უარს წარსდგეს სასამართლოს წინაშე;
- უარს განაცხადებს მიიღოს მონაწილეობა პროგრამაში, რომელიც ითვალისწინებს მის განსახლებას;
- ნებაყოფლობით განაცხადებს უარს პროგრამაში მონაწილეობის გაგრძელებაზე.<sup>33</sup>

---

<sup>32</sup>იხ. იქვე გვ. 11

<sup>33</sup>United Nations Office on Drugs and Crime Vienna, UNITED NATIONS New York, 2008-Good Practices for the Protection of Witnesses in Criminal Proceedings Involving Organized Crime pp. 11

## §6. გერმანია

მოწმეთა დაცვის ინსტიტუტი გერმანიაში 1980-იანი წლების შუა პერიოდში ჩამოყალიბდა. იგი პირველად გამოყენებულ იქნა ჰამბურგში არსებული დაჯგუფებების წინააღმდეგ გამართულ პროცესში. მომდევნო წლებში მოხდა ამ ინსტიტუტის სხვადასხვა რეგიონებში იმპლემენტაცია.

1998 წელს გამოქვეყნდა პირველი მოწმეთა დაცვის აქტი. ეს აქტი შეიცავდა მნიშვნელოვან დებულებებს, რომელიც არეგულირებდა სისხლის სამართლის პროცესში მოწმეთა დაცვის საკითხებს, ძირითადი აქცენტი კი კეთდებოდა შემდეგ საკითხებზე:

- ვიდეო ჩაწერის სავალდებულოება იმ მოწმეების დაკითხვისას, რომლებიც იმყოფებოდნენ მომეტებული საფრთხის ქვეშ, ასევე არასრულწლოვანი დაზარალებულების მიმართ;
- გაუმჯობესებულიყო მექანიზმები მოწმის პირადი მონაცემების და უფლებების დაცვისათვის სისხლის სამართლის პროცესის ყველა ეტაპზე;
- უზრუნველყოფილი იყო სამართლებრივი დახმარება მოწმეებისათვის და დანაშაულის მსხვერპლთათვის ან მათი უფლებამონაცვლისათვის.<sup>34</sup>

---

<sup>34</sup>იხ. იქვე გვ. 12

ვიდრე 2001 წელს მოხდებოდა „საშიშროების ქვეშე მყოფ მოწმეთა დაცვის ჰარმონიზაციის შესახებ აქტის“ მიღება, მანამდე აღნიშნულ საკითხს არეგულირებდა ამ სფეროში გამოცემული სახელმძღვანელო მითითებები (guidelines). 2003 წელს კი მოხდა მათი გაერთიანება აქტად.

გერმანიის ფედერალური პოლიცია პასუხისმგებელია ფედერალურ საქმეებზე.

ფედერალური პოლიციის ეგიდით ხშირად იმართება როგორც შიდა, ისე საერთაშორისო კონფერენციები და სემინარები თანამშრომლებისათვის და ხელმძღვანელი თანამდებობის პირთათვის მოწმეთა დაცვის საკითხებზე.<sup>35</sup>

## §7. იტალია

ჯერ კიდევ 1930 წელს იტალიის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული იყო სასჯელისაგან ნაწილობრივ ან სრულად გათავისუფლება, თუკი სამართალდამრღვევი აანაზღაურებდა ზიანს ან ითანამშრომლებდა ხელისუფლებასთან.

1970-იან წლებში, მაშინ როდესაც „წითელი ბრიგადები“ და „მარქსისტურ-ლენინური“ ტერორისტული ჯგუფები მომრავლდნენ, საჭირო გახდა გარკვე-

---

<sup>35</sup>United Nations Office on Drugs and Crime Vienna, UNITED NATIONS New York, 2008-Good Practices for the Protection of Witnesses in Criminal Proceedings Involving Organized Crime გვ. 12

ულ პირთა წახალისება, რათა ეთანამშრომლათ ხელისუფლებასთან. თუმცა 1984 წლამდე ამ ყველაფერს არ ჰქონია მოწმეთა დაცვის სპეციალური პროგრამის სახე.

1984 წელს სიცილიელი მაფიოზი **ტომასო ბუსცეტა** დაუპირისპირდა კრიმინალურ დაჯგუფებებს. მას მოუწია მართლმსაჯულების წინაშე წარდგომა და თანამშრომლობა. სწორედ ამ შემთხვევამ ჩაუყარა საფუძველი იტალიაში მოწმეთა დაცვის ინსტიტუტს. ბუსცეტა იყო ძირითადი მოწმე იმ საქმეში, რომელშიც 350-მდე მაფიის წევრი იქნა დაპატიმრებული. ამ დახმარების სანაცვლოდ მან მიიღო ხელშეუხებლობის გარანტია და მთლიანად მოხდა მისი პიროვნების დამადასტურებელი მონაცემების შეცვლა. ამ შემთხვევამ ბიძგი მისცა მაფიის სხვა წევრებს ეთანამშრომლათ გამოძიებასთან და 1990 წლისთვის 1000-მდე ადამიანმა ისარგებლა იტალიის ხელისუფლებასთან თანამშრომლობით პროგრამის ფარგლებში.

იტალიაში მოწმეთა დაცვის სახეებია:

- ინდივიდუალური დაცვა;
- დროებითი გადაადგილება და საცხოვრებლად გადასვლა 180 დღის განმავლობაში;
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის შეცვლა;
- ფინანსური დახმარება.<sup>36</sup>

## **§8. სამხრეთ აფრიკა**

---

<sup>36</sup>იხ. იქვე გვ.13

დანაშაულის პრევენციის ეროვნული სტრატეგიის მიღებამდე (National Crime Prevention Strategy), რომელიც 1996 წელს იქნა დამტკიცებული, მოწმეთა დაცვის შესახებ დებულებები გათვალისწინებული იყო სისხლის სამართლის კოდექსში. ეს დებულებები გამოიყენებოდა აპართეიდის რეჟიმის დროს და ატარებდა რეპრესიულ ხასიათს, რომელიც მიზნად ისახავდა მოწმეთაგან ჩვენების იძულების წესით მიღებას. 1996 წელს მიღებული სტრატეგიით ასეთი მიდგომა ძირფესვიანად შეიცვალა.<sup>37</sup>

2000 წელს შეიქმნა **მოწმეთა დაცვის ეროვნული სამსახური**, რომელიც იუსტიციის სამინისტროსა და კონსტიტუციური განვითარების საბჭოს დაქვემდებარებაში იყო. სამსრეთ აფრიკის რესპუბლიკის კანონმდებლობა ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როდესაც, მიუხედავად პირის სამოქალაქო თუ სხვა სახის ვალდებულებისა, შესაძლოა მისთვის პასუხისმგებლობის დროებით თავიდან არიდება, რათა არ მოხდეს მის შესახებ ინფორმაციის ან ადგილმდებარეობის გამჟღავნება. აღნიშნულ გადაწყვეტილებას იღებს მოსამართლე.

ამავე აქტით დაწესდა პასუხისმგებლობა მოწმეთა დაცვის ეროვნულ პროგრამაში ჩართული პირების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებისთვის.

---

<sup>37</sup>United Nations Office on Drugs and Crime Vienna, UNITED NATIONS New York, 2008-Good Practices for the Protection of Witnesses in Criminal Proceedings Involving Organized Crime გვ. 14



უცხო ქვეყნის მოქალაქის მოწმეთა ეროვნულ პროგრამაში ჩასართავად საჭიროა სამხრეთ აფრიკის იუსტიციის მინისტრის თანხმობა.<sup>38</sup>

### §9. სერბეთის რესპუბლიკა

2008 წელს სერბეთის რესპუბლიკამ მიიღო კანონი სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა დაცვის პროგრამის შესახებ (Law on the protection programme for participants in criminal proceedings), რომელიც მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს. აღნიშნული კანონის მიხედვით პროგრამა ვრცელდება პროცესის ყველა მონაწილეზე, რომელთა შორის არიან: ეჭვმიტანილი, ბრალდებული, მოწმე, დაზარალებული, ექსპერტი, აგენტი და ა.შ.<sup>39</sup>

ამ კანონით გათვალისწინებულია მხოლოდ სამი კატეგორიის დანაშაული, რომელთა გამოც შესაძლოა პროცესის მონაწილეზე გავრცელდეს დაცვის პროგრამა. კერძოდ, პროცესის მონაწილე ან მასთან დაახლოებული სხვა პირი, რომელიც დგას სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ფიზიკური ხელშეუხებლო-

---

<sup>38</sup>იხ. იქვე გვ. 15

<sup>39</sup> LAW ON THE PROTECTION PROGRAMME FOR PARTICIPANTS IN CRIMINAL PROCEEDINGS-Art 3. (REPUBLIC OF SERBIA Ministry of Justice, Published in "Official Gazette of the Republic of Serbia" No. 85/05 Prepared by Jugoslovenski pregled / Yugoslav Survey, Belgrade, 2008)

ბის, თავისუფლების ან საკუთრების უფლების ხელყოფის საფრთხის წინაშე მის მიერ მიწოდებული ინფორმაციის ან მიცემული ჩვენების გამო, გახდება დაცვის პროგრამის მონაწილე თუ ამ ინფორმაციის ან ჩვენების გარეშე უფრო გართულდებოდა ან შეუძლებელი გახდებოდა შემდეგი დანაშაულების გამოვლენა:

- დანაშაული სახელმწიფო კონსტიტუციური წყობილების და უსაფრთხოების წინააღმდეგ;
- დანაშაული ადამიანურობის და საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ფასეულობების წინააღმდეგ;
- ორგანიზებული დანაშაული.<sup>40</sup>

სერბეთის რესპუბლიკაში არსებობს **მოწმეთა დაცვის პროგრამის კომისია**, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის პროგრამაში ჩართვის თაობაზე. ეს კომისია შედგება სამი წევრისაგან. ერთ წევრს ნიშნავს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთაგან, მეორე წევრს ნიშნავს მთავარი პროკურორი თავისი მოადგილეებიდან, ხოლო მესამე წევრი არის დაცვის პროგრამის განმახორციელებელი სამსახურის თავ-

---

<sup>40</sup>იხ. იქვე Art. 5

მჯდომარე, რომელიც სამსახურებრივად იკავებს კომისიაში ადგილს.<sup>41</sup>

ისევე როგორც საქართველოში, სერბეთის რესპუბლიკაშიც დაცვის პროგრამის განმახორციელებელი ორგანო არის შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს პირის ფიზიკურ, ეკონომიკურ, ფსიქოლოგიურ, სოციალურ და იურიდიულ დაცვას.<sup>42</sup>

კანონმდებლობით, პროცესის მონაწილეთა დაცვის ღონისძიებებია:

- ფიზიკური დაცვა;
- საკუთრების დაცვა;
- საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, პატიმრობის შემთხვევაში-სხვა დაწესებულებაში გადაყვანა;
- მესაკუთრის ინფორმაციის გასაიდუმლოება;
- საიდენტიფიკაციო მონაცემების შეცვლა.<sup>43</sup>

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სერბეთში ისეთი ღონისძიების გამოყენება, რომელიც გულისხმობს პირის საიდენტიფიკაციო მონაცემების შეცვლას ან გა-

---

<sup>41</sup> LAW ON THE PROTECTION PROGRAMME FOR PARTICIPANTS IN CRIMINAL PROCEEDINGS-Art 7. (REPUBLIC OF SERBIA Ministry of Justice, Published in "Official Gazette of the Republic of Serbia" No. 85/05 Prepared by Jugoslovenski pregled / Yugoslav Survey, Belgrade, 2008)

<sup>42</sup> იბ. იქვე Art. 12

<sup>43</sup> იქ. იქვე Art. 14

საიდუმლოებას, დასაშვებია მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც დაცვის პროგრამის მიზნები სხვაგვარად ვერ მიიღწევა.<sup>44</sup> საიდენტიფიკაციო მონაცემების შეცვლა არ უნდა იწვევდეს პირის ვალდებულების შეწყვეტას მესამე პირების წინაშე. სწორედ ამით აიხსნება ამგვარი შეზღუდვა დაცვის აღნიშნული ღონისძიების მიმართ. მიუხედავად დაცვის პროგრამაში ჩართვისა, ზემოაღნიშნულ კანონში მოცემულია, რომ პირის მიმართ ძალაში რჩება ყველა სამოქალაქო თუ სხვა სახის უფლება-მოვალეობები, რომელიც მას გააჩნდა საიდენტიფიკაციო მონაცემების შეცვლამდე. პროგრამაში ჩართვისას და კონკრეტულად კი საიდენტიფიკაციო მონაცემების შეცვლამდე, პირი ვალდებულია ხელმოწერით დაადასტუროს თავისი ვალდებულებების არსებობა.<sup>45</sup>

მიუხედავად სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალური პროგრამის ერთობ გასაიდუმლოებული ხასიათისა, სერბეთის რესპუბლიკის კანონდებლობა პროგრამის მონაწილეს უფლებას აძლევს დადოს გარიგებები და შევიდეს სახელშეკრულებო ურთიერთობებში კონტრაქტებთან და გამოიყენოს შეცვლილი საიდენტიფიკაციო მონაცემები, მაგრამ მხოლოდ დაცვის პროგრამის განმახორციელებელი სამსახურის თანხმობით. იგივე შეზ-

---

<sup>44</sup> იხ. იქვე Art. 14

<sup>45</sup> იხ. იქვე Art. 20-21

ღუღვა ვრცელდება მინდობილობის გაცემის შემთხვევაზეც.<sup>46</sup>

თუ პროგრამაში მონაწილე პირი გამოძახებულია სასამართლოს მიერ, ეჭვმიტანილის სტატუსით იმ დანაშაულის ჩადენაში, რომელიც საიდენთიფიკაციო მონაცემების შეცვლამდე ჩაიდინა პირმა, სისხლის სამართლის პროცესში იგი მონაწილეობს შეცვლამდე არსებული მონაცემებით.

ნებისმიერი სახელმწიფო ორგანოს მხრიდან პროგრამაში მონაწილე პირთან დაკავშირება და ურთიერთობა ხდება პროგრამის განმასხორციელებელი ორგანოს წინასწარი თანხმობითა და მეშვეობით.<sup>47</sup>

მოწმეთა დაცვის პროგრამაში ჩასართავად პროცესის მონაწილემ სპეციალური ანკეტით უნდა მიმართოს უფლებამოსილ კომისიას. ანკეტა უნდა შეიცავდეს:

- ინფორმაციას პროგრამაში ჩართვის მსურველი პირის შესახებ;
- იმ დანაშაულის კვალიფიკაციას, რომელიც მოცემულ საქმესთან არის კავშირში და რომლის გამოც მოთხოვნილია პროგრამაში ჩართვა;
- ჩვენების ან/და ინფორმაციის მნიშვნელობას;
- გარემოებების აღწერას, რომელიც საფრთხეს უქმნის პირს;

---

<sup>46</sup> იხ. იქვე Art 22

<sup>47</sup> იხ. იქვე Art. 23

- ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას;
- მოთხოვნილ დაცვის ღონისძიებას.

გადაწყვეტილების მიმღები კომისია უფლებამოსილია პროგრამის განმახორციელებელ სამსახურს მოსთხოვოს იმ რისკის შეფასება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას საზოგადოებისათვის, თუკი მოხდება პირის პროგრამაში ჩართვა.<sup>48</sup>

მას შემდეგ, რაც კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას პირის პროგრამაში მონაწილეობის დაშვების შესახებ, მასთან იდება სპეციალური შეთანხმება, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს:

- შეთანხმების მხარეები;
- განცხადება, პროგრამაში ნებაყოფლობით მონაწილეობის შესახებ;
- დადასტურებას, რომ ანკეტაში დაფიქსირებული ინფორმაცია სწორია, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს;
- დაცვის ქვეშ მყოფი პირის ვალდებულებები:
  1. შეასრულოს პროგრამის ფარგლებში ყველა მითითება, რომელიც მის მიმართ წარმოიშობა;
  2. შეტყობინების ვალდებულება-აცნობოს ნებისმიერი ისეთი ცვლილების შესახებ, რომელიც გავლენას მოახდენს პროგრამის მიმდინარეობაზე და წარმატებით განხორციელებაზე;

---

<sup>48</sup> იხ. იქვე Art. 26

3. წარადგინოს ანგარიშები, გარიგებების და ფინანსური თუ სხვა სახის პასუხისმგებლობების არსებობის შესახებ ინფორმაცია; 4. სპეციალური თანხმობის გარეშე არ მიიღოს მონაწილეობა სახელშეკრულებო ურთიერთობებში);

- პროგრამის განმახორციელებელი სამსახურის ვალდებულებები: (1. გამოიყენოს დაცვის ღონისძიებები მხოლოდ ადამინის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების მინიმალური შეზღუდვებით; 2. განსაზღვროს ეკონომიკური დახმარების დროის ინტერვალი; 3. უზრუნველყოს პირი აუცილებელი ფსიქოლოგიური, სოციალური და იურიდიული დახმარებით);
- პროგრამის მოქმედების ხანგრძლივობა;
- პროგრამის მოქმედების შეწყვეტის პირობები;
- დებულება იმის შესახებ, რომ სპეციალური შეთანხმება შედგენილია მხოლოდ ერთ ეგზემპლარად, რომელიც ინახება იმ მხარესთან, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებას. ხელშეკრულება ხელმისაწვდომი უნდა იყოს მხოლოდ სპეციალური კომისიის წევრთათვის;
- პირის განცხადება, რომ მან გაიგო ხელშეკრულების შინაარსი, ეთანხმება მას და მზად არის იკისროს ორმხრივი ვალდებულება;

- თარიღი და მხარეთა ხელმოწერები.<sup>49</sup>

კანონმდებლობით ასევე გათვალისწინებულია დაცვის პროგრამის შეწყვეტის იმპერატიული მოთხოვნები. პროგრამის მიმდინარეობა შეიძლება შეწყდეს თუ:

- აღარ არსებოს პროგრამაში მონაწილეობის საფუძვლები;
- პროგრამაში ჩართვის შემდეგ პირმა ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული;
- კომისიისათვის მიწოდებული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს;
- პირმა ვერ შეასრულა შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები;
- სხვა სახელმწიფომ, რომლის ტერიტორიაზეც გადავიდა ეს პირი საცხოვრებლად, მოითხოვს დაცვის ღონისძიებების გამოყენების შეწყვეტას.

---

<sup>49</sup>LAW ON THE PROTECTION PROGRAMME FOR PARTICIPANTS IN CRIMINAL PROCEEDINGS-Art 30. (REPUBLIC OF SERBIA Ministry of Justice, Published in "Official Gazette of the Republic of Serbia" No. 85/05 Prepared by Jugoslovenski pregled / Yugoslav Survey, Belgrade, 2008)



**§10. საქართველო**  
**§ 10.1 ძველი სისხლის სამართლის**  
**საპროცესო კოდექსი**

პროცესის მონაწილეთა დაცვის ინსტიტუტს ითვალისწინებდა ასევე ძველი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. (1998 წლის 20 თებერვალი).

ძველ სსსკ-ში დაცვის ღონისძიების სახეები დაყოფილი იყო ორ ნაწილად და ნაწილის გამოყენება მხოლოდ მოსამართლის უფლებამოსილებაში შედიოდა, რომელსაც იგი ნიშნავდა პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე, ნაწილი კი პროკურორის უფლებამოსილებას წარმოადგენდა. მოსამართლე (სასამართლო), პროკურორის შუამდგომლობით უფლებამოსილი იყო გამოეყენებინა პროცესის მონაწილეთა დაცვის ერთი ან რამდენიმე შემდეგი სპეციალური ღონისძიება:

- საჯარო რეესტრიდან ან სხვა საჯარო ხასიათის ჩანაწერიდან დაზარალებულის ან მოწმის ამოცნობისა და იდენტიფიკაციის შესაძლებლობის მქონე მონაცემთა, კერძოდ, სახელის, გვარის, მისამართის, სამუშაო ადგილის, პროფესიის ან სხვა შესაბამისი ინფორმაციის შეცვლა ან ამოღება;
- დაზარალებულის ან მოწმის ამოცნობისა და იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემცველი დოკუმენტის გასაიდუმლოება;

- ფსევდონიმის მინიჭება;
- მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან ფიზიკური დაცვის სპეციალური ღონისძიება.<sup>50</sup>

ახალი კოდექსის მიღებამდე სისხლის სამართლის სასამართლოში საქმის არსებითად განხილვისას დაუშვებელი იყო პროცესის მონაწილის დაკითხვა მისი ვინაობის გასაიდუმლოებით ან იდენტიფიცირების შეცვლით, რადგან სასამართლო პროცესზე პროცესის მონაწილე იკითხებოდა უშუალოდ და ზეპირად.<sup>51</sup> ახალ კოდექსში მსგავსი ნორმა აღარ გვხვდება. უნდა აღინიშნოს, რომ პროცესის მონაწილის, კერძოდ კი, მოწმის საქმის არსებითი განხილვისას უშუალოდ და ზეპირად დაკითხვა ხელს უწყობს დაცვის უფლების ეფექტურ გამოყენებას, მის ინფორმირებულობასა და უკეთ ჩართულობას მთელი პროცესის განმავლობაში.

ძველი კოდექსით პროკურორი უფლებამოსილი იყო სასამართლოსაგან დამოუკიდებლად გამოეტანა დადგენილება პროცესის მონაწილეთა დაცვის შემდეგი სახის სპეციალური ღონისძიების გამოყენებაზე:

- მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან ფიზიკური დაცვა;

---

<sup>50</sup>„სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“109<sup>1</sup>-ე მუხლი, მე-3 ნაწილი საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 1251-რს 20/02/1998

<sup>51</sup>„სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“109<sup>1</sup>-ე მუხლი, 1-ლი და მე-2 ნაწილი საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 1251-რს 20/02/1998

- საცხოვრებელი ადგილის დროებითი ან მუდმივი შეცვლა;
- გარეგნობის შეცვლა.<sup>52</sup>

სისხლის სამართლის პროცესის მონაწილესთან დაკავშირებული პირის მიმართ პროკურორი უფლებამოსილი იყო გამოეყენებინა დაცვის ნებისმიერი სპეციალური ღონისძიება, ხოლო მას შემდეგ რაც სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში არსებით განხილვაზე მოწმისა და დაზარალებულის დაკითხვა დამთავრდებოდა, პროკურორი თავისუფლდებოდა შეზღუდვებისგან და მას შეეძლო თავისუფლად გამოეყენებინა ნებისმიერი დაცვის სპეციალური ღონისძიება, როგორც ერთი, ასევე რამდენიმე.<sup>53</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეული შეზღუდვები იყო ბრალდებულის და განსასჯელის მიმართ მოსაყენებელ დაცვის სპეციალურ ღონისძიებებთან დაკავშირებით. მის მიმართ შესაძლებელი იყო გამოეყენებულიყო მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან ფიზიკური დაცვის სპეციალური ღონისძიება.<sup>54</sup> ბრალდებულის, განსასჯელის მიმართ სხვა სა-

---

<sup>52</sup>„სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“109<sup>1</sup>-ე მუხლი, მე-4 ნაწილი საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 1251-რს 20/02/1998

<sup>53</sup>„სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“109<sup>1</sup>-ე მუხლი, მე-5, მე-6 ნაწილი საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 1251-რს 20/02/1998

<sup>54</sup>„სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“109<sup>1</sup>-ე მუხლი, მე-7 ნაწილი საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 1251-რს 20/02/1998

ხის დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას ძველი კოდექსი არ ითვალისწინებდა.

ძველ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით შუამდგომლობა დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების შესახებ განიხილებოდა დახურულ სასამართლო სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ მხოლოდ პროკურორი, შუამდგომლობის ავტორი და პროცესის მონაწილე, რომლის მიმართაც განიხილებოდა დაცვის სპეციალური ღონისძიებების ამოქმედების საკითხი.

სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეების მიმართ დაცვის სპეციალური ღონისძიებების გამოყენებისთვის დადგენილი იყო გარკვეული წინაპირობები, რომელთა არსებობის გარეშე დაცვის სპეციალური ღონისძიებების გამოყენება ჩაითვლებოდა უკანონოდ. კერძოდ, შუამდგომლობით მიმართვისას პროკურორი ვალდებული იყო ქვემოთ ჩამოთვლილი ერთი ან რამდენიმე საფუძვლის არსებობით დაესაბუთებინა დაცვის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა.

შუამდგომლობით მიმართვის საფუძვლები:

- სისხლის სამართლის საქმის განხილვა ეხება ისეთი ქმედების ჩადენის ფაქტს, რომლის საჯარო განხილვაც არსებით ზიანს მიაყენებს პროცესის მონაწილის პირად ცხოვრებას;
- პროცესის მონაწილის ვინაობისა და სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობის სა-

ჯარობით მნიშვნელოვანი საფრთხე ემუქრება მის სიცოცხლეს;

- პროცესის მონაწილის ვინაობისა და სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობის საჯაროობით მნიშვნელოვანი საფრთხე ემუქრება მის ჯანმრთელობას;
- პროცესის მონაწილის ვინაობისა და სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობის საჯაროობით მნიშვნელოვანი საფრთხე ემუქრება მის ქონებას;
- პროცესის მონაწილის ვინაობისა და სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობის საჯაროობით მნიშვნელოვანი საფრთხე ემუქრება მისი ახლო ნათესავის სიცოცხლეს;
- პროცესის მონაწილის ვინაობისა და სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობის საჯაროობით მნიშვნელოვანი საფრთხე ემუქრება მისი ახლო ნათესავის ჯანმრთელობას;
- პროცესის მონაწილის ვინაობისა და სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობის საჯაროობით მნიშვნელოვანი საფრთხე ემუქრება მისი ახლო ნათესავის ქონებას;
- სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე დამოკიდებულია ბრალდებულზე;
- სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის სიცოცხლეს ემუქრება რეალური საფრთხე;

- სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის ჯანმრთელობას ემუქრება რეალური საფრთხე.<sup>55</sup>

შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში მოსამართლის გადაწყვეტილებაში მითითებული უნდა ყოფილიყო ის სახელმწიფო ორგანო, რომელსაც ევალებოდა დაცვის სპეციალური ღონისძიებების აღსრულება. მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება ერჯერადად გასაჩივრებულიყო საქმეზე შემაჯამებელ გადაწყვეტილებასთან ერთად. მას შემდეგ რაც აღმოიფხვრებოდა დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების საფუძველი, სასამართლო დადგენილებით (განჩინებით) აუქმებდა დაცვის სპეციალურ ღონისძიებას.<sup>56</sup>

## **§ 10.2 ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი**

ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დაცვის სპეციალური ღონისძიების შესახებ პირველი დებულება გეხვდება მოწმის უფლება-მოვალეობების ჩამონათვალში, სადაც მითითებულია, რომ

---

<sup>55</sup>ზაზა მეიშვილი, ომარ ჯორბენაძე-საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები გვ. 271

<sup>56</sup>„სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“<sup>1093</sup>-ე მუხლი, მე-6, მე-7 ნაწილი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 1251-რს 20/02/1998

მოწმეს უფლება აქვს მოითხოვოს დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენება.<sup>57</sup> უნდა აღინიშნოს, რომ მოთხოვნის ადრესატი დაკონკრეტებული არ არის, რაც იმას ნიშნავს, რომ მოწმეს აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა შეუძლია მოსთხოვოს როგორც პროკურორს, ისე სასამართლოს (მოსამართლეს). საქმის გამოძიების ეტაპზე, აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება აქვს პროკურორს, საქართველოს მთავარი პროკურორის ან მისი მოადგილის თანხმობის შემთხვევაში.<sup>58</sup> ხოლო, მას შემდეგ რაც სისხლის სამართლის საქმე წარიმართება სასამართლოში განსახილველად, აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო.

ამავე დროს, დაზარალებულიც უფლებამოსილია მოითხოვოს დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენება. ამისათვის უნდა არსებობდეს გარკვეული წინაპირობები. კერძოდ:

- საფრთხე უნდა ემუქრებოდეს როგორც მის, ისე მისი ახლო ნათესავის ან ოჯახის წევრის სიცოცხლეს;

---

<sup>57</sup>„სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“ 40-ე მუხლი, 1-ლი ნაწილი „ვ“ ქვეპუნქტი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 1772-რს 09/10/2009

<sup>58</sup>„სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“ 68-ე მუხლი მე-2 ნაწილი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 1772-რს 09/10/2009

- ან/და საფრთხე უნდა ემუქრებოდეს როგორც მის, ისე მისი ახლო ნათესავის ან ოჯახის წევრის ჯანმრთელობას;
- ან/და საფრთხე უნდა ემუქრებოდეს როგორც მის, ისე მისი ახლო ნათესავის ან ოჯახის წევრის საკუთრებას.<sup>59</sup>

მკითხველს შეიძლება სამართლიანად გაუჩნდეს კითხვა იმის შესახებ, თუ რატომ არის განსხვავება მოწმესა და დაზარალებულს შორის ამ უფლების გამოყენების წინაპირობას შორის?! რადგან მოწმის უფლება-მოვალეობების ჩამონათვალში მსგავსი წინაპირობები არ იყო დათქმული, ხოლო დაზარალებულის შემთხვევაში ვითარება საპირისპიროდ არის. სინამდვილეში, საქმე გვაქვს საკანონმდებლო ხარვეზთან, რადგან ორივე შემთხვევაში პროგრამის ასამოქმედებლად აუცილებელია გარკვეული წინაპირობები. ეს წინაპირობები ჩამოთვლილია IX თავში, რომლის მიხედვითაც პროცესის მონაწილის(იგულისხმება, როგორც მოწმე, ისე დაზარალებული და სხვა მონაწილე) დაცვის სპეციალური ღონისძიება შეიძლება გამოყენებულ იქნეს, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი წინაპირობა მაინც:

- განიხილება საქმე ისეთი ქმედების ჩადენის ფაქტზე, რომლის საჯარო განხილვაც თავისი

---

<sup>59</sup>„სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“ 57-ე მუხლი „ვ“ ქვეპუნქტი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 1772-რს 09/10/2009



ბუნებით არსებით ზიანს მიაყენებს პროცესის მონაწილის პირად ცხოვრებას;

- პროცესის მონაწილის ვინაობისა და საქმეში მონაწილეობის გასაჯაროებით მნიშვნელოვანი საფრთხე დაემუქრება მის ან მისი ახლო ნათესავის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ქონებას;
- პროცესის მონაწილე დამოკიდებულია ბრალდებულზე.<sup>60</sup>

ამრიგად, ის განსხვავება რომელიც მოწმისა და დაზარალებულის მიმართ დაცვის ღონისძიებების გამოყენების წინაპირობებში არსებობდა, რეალურად არ არსებობს, რადგან კოდექსი ადგენს ერთიან წინაპირობებს, რომელიც საერთოა პროცესის ყველა მონაწილის მიმართ და რომელთაგან ერთ-ერთის არარსებობის გარეშე დაცვის ღონისძიებების გამოყენება ჩაითვლება უკანონოდ.

2011 წლის 11 ნოემბერს შესული ცვლილებებით, გაფართოვდა იმ პირთა წრე, რომლებიც შეიძლება დაცვის სპეციალური ღონისძიებების მოქმედების სფეროში მოექცნენ. პროცესის მონაწილის გარდა, დაცვის სპეციალურ პროგრამაში შეიძლება ჩაერთოს ნებისმიერი პირი, რომელიც შეიძლება მომავალში გახდეს პროცესის მონაწილე, მასთან დაკავშირებული პირი ან/და მისი ახლო ნათესავი, მხოლოდ მათი

---

<sup>60</sup> „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“ 67-ე მუხლი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 1772-რს 09/10/2009

თანხმობით.<sup>61</sup> უნდა ითქვას, რომ ამგვარი მიდგომა საკვებით გამართლებულია და შეესაბამება საერთაშორისო პრაქტიკას, თუმცა კანონმდებელი არ განსაზღვრავს ვინ შეიძლება იგულისხმებოდეს დაკავშირებულ პირში ან რა სახის კავშირი უნდა არსებობდეს მინიმუმ იმისთვის, რომ პირის პროგრამაში ჩართვა მოხდეს. საქმის სასამართლოში განხილვისას, ეს შეიძლება მოსამართლის დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მოვიაზროთ, მაგრამ გამოძიების ტაპზე, მაშინ როდესაც გადაწყვეტილებას იღებს სისხლის სამართლებრივი დევნის ორგანო, უმჯობესი იქნება, თუკი ნორმატიულად იქნება განსაზღვრული სიტყვა „დაკავშირებული პირის“ დეფინიცია. ამავე დროს, ზედმეტად მიგვაჩნია დათქმა იმის შესახებ, რომ ამგვარი პირების ჩართვა მხოლოდ მათი თანხმობით შეიძლება მოხდეს, რადგან დაცვის სპეციალური პროგრამის არსი თავად პროცესის მონაწილის ნებაყოფლობით სურვილზეა აგებული.

თუ არ არსებობს პროგრამის მონაწილის სურვილი, მაშინ აზრს კარგავს ყველა ის ღონისძიება, რომელიც შეიძლება ამ პროგრამის ფარგლებში იქნეს გამოყენებული.

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, დაცვის სპეციალური ღონისძიებისა და მის

---

<sup>61</sup>„სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“ 68-ე მუხლი, მე-2 ნაწილი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 1772-რს 09/10/2009

ფარგლებში გამოყენებული დაცვის კონკრეტული ღონისძიებების აღსრულებას უზრუნველყოფს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.<sup>62</sup> სხვა არცერთი ორგანო არ არის უფლებამოსილი განახორციელოს დაცვის სპეციალური პროგრამა.

პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური ღონისძიების სახეა პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალურ პროგრამაში ჩართვა. პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური პროგრამით დადგენილი წესით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო უფლებამოსილია გამოიყენოს დაცვის კონკრეტული ღონისძიებები. ასეთი ღონისძიებებია:

- მიკვლევის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება-საჯარო რეესტრში ან სხვა საჯარო ხასიათის ჩანაწერში:
  - ა) სახელისა და გვარის შეცვლა
  - ბ) მისამართის შეცვლა
  - გ) სამუშაო ადგილის შეცვლა
  - დ) პროფესიის ან სხვა შესაბამისი ინფორმაციის შეცვლა ან ამოღება;
- ვინაობის შეცვლა და ახალი დოკუმენტების გაცემა:
  - ა) ფსევდონიმის მინიჭება
  - ბ) გარეგნობის შეცვლა

---

<sup>62</sup>„სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“ 71-ე მუხლის მე-2 ნაწილი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 1772-რს 09/10/2009

გ) ამოცნობისა და იდენტიფიცირების შე-  
საძლებლობის შემცველი საპროცესო და  
სხვა დოკუმენტების გასაიდუმლოება;

- უსაფრთხოების ზომების მიღება:
  - ა) პირადი დაცვა
  - ბ) განგაშზე გამოძახება
  - გ) და სხვ;
- საცხოვრებელი ადგილის დროებით ან სა-  
მუდამოდ შეცვლა;
- სხვა სახელმწიფოში გადაყვანა (რელოკა-  
ცია).

პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალურ პროგ-  
რამაში ჩართვისა და დაცვის კონკრეტული ღონისძი-  
ებების განხორციელების პროცედურებს ერთობლი-  
ვად განსაზღვრავენ საქართველოს იუსტიციისა და  
შინაგან საქმეთა მინისტრები. ხოლო ხარჯებს, რო-  
მელიც შეიძლება წარმოიშვას ამ ღონისძიებების  
განხორციელებისას, მთლიანად გაიღებს სახელმწი-  
ფო.<sup>63</sup>

დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების  
ვადა განსაზღვრული არ არის. იგი შეიძლება გამო-  
ყენებულ იქნეს გარკვეული ვადით, უვადოდ ან იმ  
დრომდე, სანამ ზემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი კა-  
ნონისმიერი წინაპირობა მაინც იარსებებს. გადაწყვე-  
ტილება დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყე-

---

<sup>63</sup> „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“ 68-ე მუხლი,  
საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 1772-რს 09/10/2009

ნების შესახებ არ არის საჯარო და ამის შესახებ ეცნობება მხოლოდ დასაცავ პირს. გადაწყვეტილების მიღებისას, მასში უნდა აღინიშნოს პირი, რომლის მიმართაც გამოიყენება დაცვის სპეციალური ღონისძიება და ღონისძიების გამოყენების ვადა. 2011 წლის 11 ნოემბერს შეტანილი ცვლილებებით, გადაწყვეტილების მიმღები პირი გადაწყვეტილებაში აღარ უთითებს დაცვის რომელ კონკრეტულ ღონისძიებას იყენებს პირის მიმართ. მას შემდეგ რაც აღმოიფხვრება დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების საფუძველი, ამ ღონისძიებას აუქმებს მისი გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები პირი, რაც დაუყოვნებლივ ეცნობება დასაცავ პირს.<sup>64</sup>

პროცესის მონაწილის სპეციალურ პროგრამაში ჩართვისთვის მნიშვნელობა არ აქვს თუ რა ეტაპზეა გამოძიების წარმოება ან სასამართლო განხილვა. პირი სპეციალურ პროგრამაში შეიძლება ჩაერთოს ნებისმიერ დროს. პროგრამაში ჩართვისთვის აუცილებელია მხოლოდ ზემოთ ნახსენები ერთ-ერთი წინაპირობის არსებობა. ამიტომაც, სისხლის სამართლის პროცესი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როდესაც გამოძიების სტადიაზე ხდება დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენება, რის გამოც მოწმეს აღარ შეუძლია გამოცხადდეს და მისცეს ჩვენება საქმის არსებითი განხილვის დროს. ეს იმას ნიშ-

---

<sup>64</sup>„სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“ 70-ე მუხლი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 1772-რს 09/10/2009

ნავს, რომ საქმის არსებითი განხილვის დროს შეიძლება არ დაიკითხოს ის მოწმე, რომელმაც გამოძიების ეტაპზე მაგისტრადი მოსამართლის წინაშე მისცა ჩვენება.

ამგვარი წესით ჩვენების მიცემა შესაძლებელია მაშინ, თუ არსებობს შემდეგი ოთხი წინაპირობიდან ერთ-ერთი მაინც:

- არსებობს მისი სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის გაუარესების რეალური საფრთხე, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მის დაკითხვას საქმის არსებითი განხილვის დროს;
- იგი დიდი ხნით ტოვებს საქართველოს ტერიტორიას;
- გონივრული ძალისხმევის მიუხედავად, საქმის სასამართლოში არსებითად განსახილველად წარმართვისათვის აუცილებელი მტკიცებულების სხვა წყაროებიდან მოპოვება შეუძლებელია;
- ეს აუცილებელია დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით.<sup>65</sup>

ჩვენთვის საინტერესო არის სწორედ მეოთხე საფუძველი, რომელიც ერთგვარად ზღუდავს მხარის უფლებას-აწარმოოს მოწმის პირადპირი და ჯვარედინი დაკითხვა საქმის არსებითი განხილვის ეტაპ-

---

<sup>65</sup>„სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“ 114-ე მუხლი, 1-ლი ნაწილი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 1772-რს 09/10/2009

ზე, რადგან პირის მიმართ შეიძლება მოქმედებდეს დაცვის სპეციალური პროგრამა. გამოძიების სტადიაზე მხარის შუამდგომლობით გამოძიების ადგილის ან მოწმის ადგილსამყოფლის მიხედვით მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმედ შეიძლება დაკითხული იქნეს პირი, რომლის მიმართაც გამოიყენება ან არსებობს საკმარისი საფუძველი, რომ ამოქმედდეს დაცვის სპეციალური ღონისძიებები. ასეთი წესით დაკითხული მოწმის ჩვენება მიიჩნევა მტკიცებულებად და მისი ხელახალი დაკითხვა საქმის არსებით განხილვაზე აღარ არის აუცილებელი. თუმცა, გამოწვევის შემთხვევაში, მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, მხარის დასაბუთებული შუამდგომლობითა და მოსამართლის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია დაკითხვა მოხდეს მეორე მხარის წინასწარი ინფორმირებისა და დასწრების გარეშე. მაგრამ ასეთ შემთხვევაში, მოწმის მიერ მიცემული ჩვენება საქმის არსებითი განხილვისას დაუშვებელ მტკიცებულებად მიიჩნევა, თუ შესაძლებელია მისი ხელახალი დაკითხვა,<sup>66</sup> ე.ი. საქმის არსებით განხილვამდე, მაგისტრატი მოსამართლის წინაშე შესაძლებელია დაკითხოს მოწმე ორივე მხარის დასწრებით, ან ერთ-ერთი მხარის წინასწარი ინფორმირების გარეშე. თუ მოწმის დაკითხვა მოხდა ერთ-ერთი მხარის წინასწარი ინფორმირების გარეშე, მაშინ და-

---

<sup>66</sup>„სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“ 114-ე მუხლი, მე-4 ნაწილი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 1772-რს 09/10/2009

კითხვისას მიცემული ჩვენება არ შეიძლება მტკიცებულებად იქნეს გამოყენებული საქმის არსებითი განხილვისას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მისი ხელახლა დაკითხვა შეუძლებელია. საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე ქვეყნდება მისი წინასასამართლო ჩვენება, მაგრამ არ შეიძლება მხოლოდ ეს ჩვენება დაედოს საფუძვლად გამამტყუნებელ განაჩენს. გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის აუცილებელია პირის ბრალეულობა დასტურდებოდეს ბრალეულობის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებით.<sup>67</sup> როგორც უკვე ვთქვით, ამგვარი დანაწესით ერთგვარად იზღუდება მხარის კანონიერი უფლება-აწარმოოს მოწმის პირდაპირი და ჯვარედინი დაკითხვა საქმის არსებითი განხილვისას, შეუქმნას წარმოდგენა სასამართლოს და ნაფიც მსაჯულებს მოწმის პიროვნების სანდოობისა და მისი ჩვენების უტყუარობის შესახებ.

გარდა ამისა, საინტერესოა, შესაძლებელია თუ არა მოწმის ხელახლა დაკითხვა მას შემდეგ რაც იგი ჩაერთვება სპეციალურ პროგრამაში?! ამ კითხვაზე არაპირდაპირ პასუხს თავად კოდექსი იძლევა. გამოძიების დროს მოწმის დეპონირებული ჩვენების სასამართლო სხდომაზე საჯაროდ წაკითხვა, ასევე მისი ჩვენების აუდიო ან ვიდეოჩანაწერის მოსმენა (დემონსტრირება) დასაშვებია თუ:

---

<sup>67</sup>„სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“ 118-ე მუხლი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 1772-რს 09/10/2009



- მოწმე გარდაიცვალა;
- არ იმყოფება საქართველოში;
- მისი ადგილსამყოფელი უცნობია;
- ან ამოწურულია მისი სასამართლოში წარ-

მოდგენის ყველა გონივრული შესაძლებლობა.<sup>68</sup>

ამ ჩამონათავლში არ არის ის შემთხვევა, როდესაც მოწმე ჩართულია სპეციალურ პროგრამაში. თუმცა ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, დასმულ კითხვაზე დადებით პასუხს. ამავე ნორმით გათვალისწინებულია ის შემთხვევა, როდესაც მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია მოწმის დისტანციური დაკითხვა იმავე ან სხვა სასამართლოდან ან სხვა ადგილიდან.<sup>69</sup> მაგრამ, სხვა ადგილში შესაძლოა იგულისხმებოდეს სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაც? თუ ეს ასეა, ასეთ დროს, სამართლებრივი დახმარების საკითხი რეგულირდება ამ სახელმწიფოსთან დადებული სპეციალური შეთანხმებით და საერთაშორისო ხელშეკრულებებით. გამოდის, რომ მოწმის საქართველოში არ ყოფნა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმის შეუძლებლობას, რომ იგი დაკითხულ იქნეს საქმის არსებითი განხილვის დროს. მაგრამ, თუკი მოწმე საზ-

---

<sup>68</sup> „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“ 243-ე მუხლი, 1-ლი ნაწილი საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 1772-რს 09/10/2009

<sup>69</sup> „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“ 243-ე მუხლი, მე-3 ნაწილი საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 1772-რს 09/10/2009

ღვარგარეთ იმყოფება სპეციალური პროგრამით გათვალისწინებული კონკრეტული ღონისძიების გამოყენების ფარგლებში (რელოკაცია), მაშინ თავისთავად ეს ინფორმაცია, ანუ ფაქტი მისი საქართველოში არ ყოფნის შესახებ, იქნება საიდუმლო (2011 წლის 11 ნოემბრის ცვლილებით გადაწყვეტილებაში აღარ არის აღნიშნული თუ რომელი კონკრეტული ღონისძიება გამოიყენება პროგრამის ფარგლებში) და მისი დაკითხვა შეუძლებელი იქნება არა საქართველოში არ ყოფნის, არამედ მისი ადგილსამყოფელის დაუდგენლობის გამო. როგორც ხედავთ, ნორმის ინტერპრეტაციიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დაცვის სპეციალურ პროგრამაში ჩართვა იწვევს გამოძიების დროს მიცემული ჩვენების დასაშვებობას საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე, მიუხედავად იმისა, დაკითხვა მოხდა მეორე მხარის წინასწარი ინფორმირებით თუ ინფორმირების გარეშე, მიუხედავად იმისა, მოწმე საქართველოში იმყოფებოდა თუ არა და ა.შ. შესაძლოა, ამგვარი ჩანაწერის არარსებობა გაამართლონ იმით, რომ თუკი ამ ჩამონათვალში მითითებული იქნებოდა დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების ფაქტი, ეს თავისთავად იმ გადაწყვეტილების საჯაროობას გამოიწვევდა, რომლითაც პირი ჩართული იქნა პროგრამაში. მაგრამ, ამის საპირისპიროდ უნდა ითქვას, რომ საჯარო არ არის სპეციალური ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება და არა თავისთავად ფაქტი პროგრამაში ჩართვის თა-

ბაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, აზრს დაკარგავდა გამოძიების დროს მოწმის დაკითხვის შესახებ დებულება (114-ე მუხლი - „გამოძიების სტადიაზე მხარის შუამდგომლობით გამოძიების ადგილის ან მოწმის ადგილსამყოფლის მიხედვით მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმედ შეიძლება დაკითხულ იქნეს პირი, თუ ეს აუცილებელია დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით“), ასევე მოწმის დაკითხვის დროს ბრალდებულის სხდომის დარბაზიდან გაყვანის დებულება (40-ე მუხლი-„მოსამართლეს უფლება აქვს, მოწმის დაკითხვის დროს უარი თქვას ბრალდებულის დასწრებაზე, თუ გამოიყენება მოწმის დაცვის ერთ-ერთი სპეციალური ღონისძიება“) და ა.შ. ამრიგად, უმჯობესი იქნება, თუკი ამ კითხვაზე პასუხი პირდაპირ იქნება გაცემული კოდექსში.

ბრალდებულის სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაყვანის შესაძლებლობას ითვალისწინებს საქართველოს კანონდებლობაც. მოსამართლეს უფლება აქვს, მოწმის დაკითხვის დროს უარი თქვას ბრალდებულის დასწრებაზე, თუ გამოიყენება მოწმის დაცვის ერთ-ერთი სპეციალური ღონისძიება.<sup>70</sup> ერთადერთი საპროცესო მექანიზმი, რომლითაც ბრალდებული უფლებამოსილია გაიგოს თუ რა სახის ჩვენება მისცა მოწმემ მის წინააღმდეგ, არის

---

<sup>70</sup>„სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“ 40-ე მუხლი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 1772-რს 09/10/2009

უფლება სასამართლო სხდომის ოქმის გაცნობაზე. თუმცა ამ უფლების გამოყენება დაკავშირებულია გარკვეულ ვადასთან. კერძოდ, სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ და მდივანმა სასამართლო სხდომის დამთავრებიდან არა უგვიანეს 5 დღისა ხელი უნდა მოაწერონ ოქმს, რაც დაუყოვნებლივ ეცნობება მხარეებს. მხოლოდ სასამართლო სხდომის ოქმის ხელმოწერის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან 5 დღის ვადაში აქვთ მხარეებს უფლება გააკეთონ შენიშვნები ამ ოქმზე. ამ შენიშვნებს 5 დღის ვადაში, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილავს ამ საქმის განმხილველი სასამართლო.<sup>71</sup> ამრიგად, სასურველია კოდექსში გაკეთდეს ჩანაწერი იმის შესახებ, რომ მას შემდეგ, რაც მოწმე დაასრულებს ჩვენების მიცემას და ბრალდებულს დააბრუნებენ სასამართლო სხდომის დარბაზში, მას წერილობით ეცნობოს მოწმის მიერ მიცემული ჩვენების შინაარსი და სხვა ფაქტობრივი გარემოებები, რომელიც მისი არყოფნის პერიოდში მოხდა, რათა ბრალდებულს ჰქონდეს ზუსტი წარმოდგენა მის წინააღმდეგ მიცემული ჩვენების შესახებ და სურვილის შემთხვევაში გამოთქვას საწინააღმდეგო აზრი საბოლოო სიტყვის წარმოთქმისას.

სასამართლო სხდომა, როგორც წესი ტარდება ზეპირად და საჯაროდ. თუ საქმის მასალებში

---

<sup>71</sup> „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“ 195-ე მუხლი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 1772-რს 09/10/2009

არსებობს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტები, სასამართლო უფლებამოსილია საქმე განიხილოს დახურულ სხდომაზე. სახელმწიფო საიდუმლოებად მიიჩნევა ინფორმაციის სახეობა, რომელიც მოიცავს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ მონაცემებს თავდაცვის, ეკონომიკის, საგარეო ურთიერთობის, დაზვერვის, სახელმწიფო უსაფრთხოების და მართლწესრიგის დაცვის სფეროებში, რომელთა გამჟღავნებას ან დაკარგვას შეუძლია ზიანი მიაყენოს საქართველოს ან საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების მონაწილე მხარის სუვერენიტეტს, კონსტიტუციურ წყობილებას, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს.<sup>72</sup> გარდა ზემოთ დასახელებული სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი მასალების გამო სხდომის დახურვის საფუძვლისა, სასამართლოს შეუძლია მხარის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის შესახებ, თუ ეს აუცილებელია:

- პროფესიული, კომერციული ან პირადი საიდუმლოების დაცვის მიზნით;
- არასრულწლოვნის ინტერესების დაცვის მიზნით;

---

<sup>72</sup>საქართველოს კანონი „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ მე-2 მუხლი 455-რს 29/10/1996

- პროცესის მონაწილის ან/და მისი ოჯახის წევრის (ახლო ნათესავის) პირადი უსაფრთხოების დაცვის მიზნით ან თუ გამოიყენება პროცესის მონაწილის დაცვის ის სპეციალური ღონისძიება, რომელიც მოითხოვს სასამართლო სხდომის დახურვას;
- სქესობრივი დანაშაულის ან ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მსხვერპლის ინტერესების დაცვის მიზნით;
- პირადი მიმოწერის და პირადი შეტყობინების სასამართლო სხდომაზე გამოქვეყნებისას, თუ ამაზე თანახმა არ არის პირი.<sup>73</sup>

გამამტყუნებელი განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილში სასამართლო ვალდებულია დაასაბუთოს პროცესის მონაწილის მიმართ დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება, ხოლო გამამტყუნებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს პროცესის მონაწილის მიმართ დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ საკითხის გადაწყვეტას.<sup>74</sup>

გარდა საპროცესო კოდექსისა, ნორმები მოწმეთა დაცვის ღონისძიებების შესახებ გაბნეულია სხვადას-

---

<sup>73</sup>„სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“ 182-ე მუხლი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 1772-რს 09/10/2009

<sup>74</sup>„სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“ 273-ე, 274-ე მუხლი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 1772-რს 09/10/2009

ხვა საკანონმდებლოა ქტებში. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს დაცვის სპეციალური ღონისძიებები. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულზე სისხლის სამართლის პროცესის დაწყებამდე, სისხლის სამართლის პროცესში და მისი დასრულების შემდეგ, ხორციელდება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ღონისძიებები.<sup>75</sup> ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ღონისძიებების ეფექტიანად განხორციელების მიზნით საქართველოში შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი.

სპეციალური სამსახურებისთვის ხელისშემწყობ მოქალაქეთა სამართლებრივი და სოციალური დაცვის გარანტიებს ითვალისწინებს **საქართველოს კანონი „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“**. საჭიროების შემთხვევაში, პირს, რომელიც თანამშრომლობს სპეციალურ სამსახურებთან, ასევე მისი ოჯახის წევრების, ახლობლების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ტარდება მათი დაცვის სპეცია-

---

<sup>75</sup>საქართველოს კანონი „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ მე-13 მუხლის მე-6 ნაწილი 2944-რს 28/04/2006

ლური ღონისძიებები, რომელიც გათვალისწინებულია საპროცესო კოდექსით.<sup>76</sup>

საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული დაცვის სპეციალურ ღონისძიებები განსხვავდება დაცვის იმ ღონისძიებებისგან, რომელსაც ახორციელებს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური, რომელიც არის საქართველოს პრეზიდენტის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური დანიშნულების გასამხედროებული დაწესებულება. ის უშუალო ფუნქციაში შედის თანამდებობის პირთა ფიზიკური დაცვა.<sup>77</sup>

### **§ 10.3 რეკომენდაციები საკანონმდებლო ცვლილებისთვის**

სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებამ და საერთაშორისო ანალიზმა გვიჩვენა, რომ უამრავ ქვეყანაში პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალური პროგრამის მომწესრიგებელი ნორმები ცალკე კანონის სახით არის მოცემული. ხშირ შემთხვევაში, მოწმეთა დაცვის სამსახურს აქვს შიდა დებულება, წესდება.

---

<sup>76</sup>საქართველოს კანონი „კონტრაფერვითი საქმიანობის შესახებ“ 22-ე მუხლის მე-6 ნაწილი 2097-რს 11/11/2005

<sup>77</sup>საქართველოს კანონი „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ 1-ლი მუხლი 110-რს 20/02/1996



ცალკე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის სახით შეიძლება არსებობდეს სხვა დოკუმენტიც, რომელიც ტექნიკურ საკითხებს დაარეგულირებს, თუმცა არის მთელი რიგი საკითხები, რომელიც საკანონმდებლო რეგულირებას მოითხოვს. დღევანდელი რედაქციით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის IX თავში, რომელიც ამ საკითხს არეგულირებს, მხოლოდ 4 მუხლი შედის. შეუძლებელია ამგვარი საკანონმდებლო ნორმათა დეფიციტის პირობებში ყველა საკითხის ამომწურავი დარეგულირება. კოდექსის სიმარტივის შენარჩუნების მიზნით, უმჯობესი იქნება, თუკი საქართველოშიც მოხდება ცალკე კანონის მიღება, რომელიც ამ საკითხს დეტალურად დაარეგულირებს, მაგრამ ეს უკვე საკანონმდებლო ტექნიკის საკითხია. ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველსაყოფად, მხარეთა სამართლიანი სასამართლოს უფლების, ასევე საზოგადოების ინტერესების დასაცავად საკანონმდებლო რეგულირებას მოითხოვს შემდეგი საკითხები:

1. უნდა განისაზღვროს სამოქალაქო უფლება-მოვალეობების საკითხი. პროგრამაში მონაწილეობამ შეიძლება გამოიწვიოს პირის საიდენტიფიკაციო მონაცემების გასაიდუმლოება, ასევე გარეგნობისა თუ საცხოვრებელი ადგილის შეცვლა. ცხადია, პროგრამაში მონაწილეობამდე კონტრაჰენტების მიმართ წარმოშობილი ვალდებულებები შეუსრულებელი არ უნდა დარჩეს. პირმა არ შეიძლება უარი თქვას ვალ-

დებულების შესრულებაზე იმ მიზეზით, რომ იგი დაცვის სპეციალური პროგრამის მონაწილეა.

2. საიდენტიფიკაციო მონაცემების შეცვლამდე ჩადენილი დანაშაული ვერ დარჩება რეაგირების გარეშე. პირმა პასუხი უნდა აგოს პირვანდელი მონაცემების მიხედვით. ამავე დროს უზრუნველყოფილი უნდა იყოს მისი საპატიმრო დაწესებულებაში მოხვედრის შემთხვევაში დაცვის გარანტიები. ამარიკის შეერთებულ შტატებში ასეთ დროს მოქმედებს ციხის ფედერალური ბიურო, რომელიც ზრუნავს საპატიმრო დაწესებულებაში მოხვედრილ პროგრამის მონაწილეთა უსაფრთხოებაზე.
3. პროგრამაში მონაწილეობის განმავლობაში ჩადენილ სამართალდარღვევასა თუ დანაშაულზე პასუხისმგებლობის საერთო წესებზე მითითება.
4. პროგრამაში ჩართვამდე პირთან უნდა გაფორმდეს მემორანდუმი (შეთანხმება). შეთანხმების პირობები ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ინდივიდუალურია, თუმცა მხარეთა უფლება-მოვალეობების ძირითადი სტანდარტი ერთიანი უნდა იყოს.
5. კარგი იქნება ბრიტანეთის მსაგვსად, ჩვენთანაც თუ იქნება თანმხლები პირის ინსტიტუტი და დაცვის სხვა ალტერნატიული მექანიზმები(იხ. ქვემოთ).

**თავი II საერთაშორისო სისხლის სამართლის  
მუდმივმოქმედი და დროებითი სასამართლოები  
§1. სისხლის სამართლის საერთაშორისო  
სასამართლოს შესახებ**

თანამედროვე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს დაფუძნების ისტორია იწყება წარუმატებელი წინადადებებით, ჩამოყალიბებულიყო საერთაშორისო ტრიბუნალი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ კი ნიურბერგისა და ტოკიოს სამხედრო ტრიბუნალებმა მსოფლიო საზოგადოების თვალთახედვის არეში წინა პლანზე წამოსწია მუდმივმოქმედი სასამართლოს შექმნის აუცილებლობა. საერთაშორისო სისხლის სამართლის კოდიფიკაციის დასაწყისად და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ჩანასახად შეიძლება მივიჩნიოთ 1945 წლის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდება და 1946 წლის ნიურბერგის სამხედრო ტრიბუნალის განაჩენი. აღნიშნული დოკუმენტებისათვის იურიდიული ძალის მინიჭების მიზნით, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1946 წლის დეკემბერში სპეციალური რეზოლუციით დაადასტურა ნიურბერგის ტრიბუნალის სტატუტით აღიარებული საერთაშორისო სამართლის პრინციპები. 1992 წელს ბოსნია-ჰერცეგოვინაში გენოციდისა და ომის დანაშაულებმა, რასაც მოჰყვა იუგოსლავიი-

**სათვის** დროებითი **ad hoc** ტრიბუნალების დაფუძნება, გააძლიერა დისკუსიები სახელმწიფოებს შორის სისხლის სამართლის მუდმივი სასამართლოს ჩამოყალიბების შესახებ. 1993 წელს საერთაშორისო სამართლის კომისიამ გაეროს გენერალურ ასამბლეას განხილვისთვის წარუდგინა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის პროექტი. 1994 წელს რუანდაში განვითარებულმა მოვლენებმა გაეროს უშიშროების საბჭო იძულებული გახადა დაეარსებინა მეორე **ad hoc** ტრიბუნალი **რუანდისთვის**. ამ და სხვა მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენების შემდგომ, 1998 წლის 15 ივლისიდან 17 ივლისამდე რომში გაეროს ეგიდით ჩატარდა დიპლომატიური კონფერენცია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს დასაფუძნებლად. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო 162 სახელმწიფო, აქედან 120 მოწონებით შეხვდა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შექმნის იდეას.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მსოფლიოს მასშტაბით გააჩნია იურისდიქცია გამოიძიოს და დევნოს შემდეგი დანაშაულები: გენოციდი, ომის დანაშაულები, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები და მოგვიანებით – აგრესიის დანაშაულები (რომის სტატუტის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, აგრესიაზე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქცია გავრცელდება მას შემდეგ, რაც განისაზღვრება

ზემოსხენებული ტერმინი), დააკისროს სასჯელი დამნაშავეებს, მოახდინოს რეპარაცია მსხვერპლთათვის და ა.შ.<sup>78</sup>

## **§2. მოწმეთა დაცვის პროგრამა რომის სტატუტის მიხედვით**

ამგვარი დანაშაულებისათვის მოწმეთა და დაზარალებულთა დაცვის პრაქტიკა დიდი ხანია რაც ჩამოყალიბდა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში და შესაბამისმა დებულებებმა ფართო ასახვა ჰპოვა რომის სტატუტშიც.<sup>79</sup> ამგვარმა პრაქტიკამ და საკონონმდებლო მოწესრიგებამ გავლენა იქონია ასევე გაეროს ეგიდით შექმნილ სხვა ტრიბუნალებზეც, როგორც იყო სიერა ლეონე (Sierra Leone) და კამბოჯაში ჩადენილი დანაშაულებისთვის შექმნილი საგანგებო სასამართლო.<sup>80</sup>

მოწმეთა დაცვის ძირითადი პრინციპები მსგავსია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს, ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო ტრი-

---

<sup>78</sup>[http://www.justice.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=143&info\\_id=946](http://www.justice.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=143&info_id=946)

<sup>79</sup>United Nations Office on Drugs and Crime Vienna, UNITED NATIONS New York, 2008-Good Practices for the Protection of Witnesses in Criminal Proceedings Involving Organized Crime გვ. 16

<sup>80</sup> Security Council resolution #1315 (2000)

ბუნალის და რუანდის საერთაშორისო ტრიბუნალის-  
თვისაც. სასამართლოს რეგისტრატორების დაქვემდებარებაში შექმნილი არის სპეციალური ქვედანაყოფები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოწმეთა მხარდაჭერასა და დაცვას. ეს დანაყოფები მხოლოდ ფიზიკური დაცვითა და უსაფრთხოების მექანიზმების შემუშავებით არ შემოიფარგლებიან, მის უშაულო ფუნქციებში შედის აგრეთვე კონსულტაციების გაწევა, სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარების აღმოჩენა იმ მოწმეთათვის და დაზარალებულებისათვის, რომლებიც წარსდგნენ სასამართლოს წინაშე, აგრეთვე მათთვის, ვისაც ემუქრება საფრთხე მის მიერ ჩვენების მიცემისათვის<sup>81</sup>. კერძოდ, რომის სტატუტის მიხედვით მდივანი სამდივნოს შემადგენლობაში ქმნის დაზარალებულთა და მოწმეთა დახმარების ჯგუფს. ჯგუფი პროკურორის კანცელარიასთან შეთანხმებით უზრუნველყოფს დაცვის ღონისძიებებს და უსაფრთხოების პროცედურებს, საკონსულტაციო და სხვა შესაბამისი დახმარების გაწევას მოწმეებისა და დაზარალებულთათვის, რომლებიც გამოცხადდნენ სასამართლოში და სხვა პირთათვის, რომლებიც საფრთხეში არიან მოწმეთა მიერ მიცემული ჩვენების გამო. ჯგუფი შედგება თანამშრომლებისაგან, რომელთაც აქვთ ფსიქოლოგიურ ტრამეებზე, მათ

---

<sup>81</sup>United Nations Office on Drugs and Crime Vienna, UNITED NATIONS New York, 2008-Good Practices for the Protection of Witnesses in Criminal Proceedings Involving Organized Crime გვ. 16

შორის, სქესობრივ ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობის გამოცდილება.<sup>82</sup>

სასამართლო პალატამ უნდა უზრუნველყოს გარჩევის სამართლიანი და დროული წარმოება, მისი წარმართვა ბრალდებულის უფლებათა სრული დაცვით და დაზარალებულთა და მოწმეთა დაცვის აუცილებლობის გათვალისწინებით.<sup>83</sup> დაზარალებულთა და მოწმეთა დახმარების ჯგუფს შეუძლია პროკურორსა და სასამართლოს შესთავაზოს დაცვის ზომები, უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცედურები, გაუწიოს კონსულტაცია და სხვაგვარი დახმარება.<sup>84</sup>

ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალის და რუანდის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის ეგიდით შექმნილი ერთეულები დამოუკიდებელნი არიან სასამართლოსგან და დამოუკიდებლად იღებენ გადაწყვეტილებას მოწმეთა მიმართ გამოსაყენებელ ღონისძიებების შესახებ, ხოლო საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ შექმნილი ორგანო კონსულტაციებს აწარმოებს პროკურორის კანცელარიის მეშვეობით.

---

<sup>82</sup>Rome Statute of the International Criminal Court-Article 43 , part 6.(The Registry)

<sup>83</sup> იბ. იქვე Article 64, part 2.(Functions and powers of the Trial Chamber)

<sup>84</sup> იბ. იქვე Article 68 part 4.(Protection of the victims and witnesses and their participation in the proceedings)

მოწმეთა დაცვის ღონისძიებები ხელმისაწვდომია, როგორც ბრალდების ისე დაცვის მხარის მოწმეებისათვის.

რუანდის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის ეგიდით შექმნილი მოწმეთა დაცვის სპეციალური ერთეული დაყოფილია ორ დამოუკიდებელ ნაწილად, რომელთაგან ერთის უშუალო ფუნქციაში შედის ბრალდების მოწმეთა დაცვა, ხოლო მეორე ნაწილის ფუნქციაში-დაცვის მოწმეების.<sup>85</sup>

სასამართლო პროცესის განმავლობაში, მოსამართლის ან პალატის გადაწყვეტილებით შესაძლებელია ისეთი სპეციალური საპროცესო ზომების მიღება, როგორიცაა:

- ვალდებულების დაკისრება მხარეებისთვის, არ გაამჟღავნონ პროცესის დროს ან მანამდე მიღებული ინფორმაცია;
- სისხლის სამართლის საქმეში საიდენტიფიკაციო მონაცემების შეცვლა;
- ფსევდონიმის მინიჭება;
- სახისა და ხმის შეცვლა;
- სხდომის დარბაზის დახურვა;

---

<sup>85</sup>United Nations Office on Drugs and Crime Vienna, UNITED NATIONS New York, 2008-Good Practices for the Protection of Witnesses in Criminal Proceedings Involving Organized Crime გვ. 16



- ჩვენების მიცემა ვიდეო ჩართვის გამოყენებით.<sup>86</sup>

საპროცესო დაცვის ეს მექანიზმები ემსახურება იმ მიზანს, რომ სასამართლოს შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე მოწმის ვინაობა არ გახდეს მედიისათვის და საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი, ხელი არ შეეშალოს მართლმსაჯულების განხორციელებას და უზრუნველყოფილ იქნეს მოწმის უსაფრთხოება. რადგან ტრიბუნალებს არ გააჩნიათ საკუთარი ტერიტორიული იურისდიქცია და შიდა სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს დაცვის სპეციალური გადაწყვეტილებების დამოუკიდებელ აღსრულებას, ისინი მთლიანად დამოკიდებულნი არიან სახელმწიფოთა თანამშრომლობაზე.

თუ რეგისტრატორი მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ ჩვენების მიცემის შემდგომ მოწმის უსაფრთხოებას ემუქრება საფრთხე, მოწმეთა დაცვის სპეციალური ერთეულის გადაწყვეტილებით მოხდება ამ მოწმის განსახლება საცხოვრებელი ქვეყნის ფარგლებში ან სხვა სახელმწიფოში. თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება მოწმის ადგილსამყოფლის შეცვლის შესა-

---

<sup>86</sup>United Nations Office on Drugs and Crime Vienna, UNITED NATIONS New York, 2008-Good Practices for the Protection of Witnesses in Criminal Proceedings Involving Organized Crime გვ. 17

ხებ მაინც მიმღები სახელმწიფოს თანხმობას უკავშირდება<sup>87</sup>.

2005 წელს ერაყის ყოფილი პრეზიდენტი სადამ ჰუსეინი და მისი შვიდი თანამზრახველი წარსდგნენ ერაყის უმაღლესი ტრიბუნალის წინაშე. მათ ბრალი ედებოდათ ადამიანის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში. კერძოდ, 1982 წელს სადამ ჰუსეინზე წარუმატებელი თავდასხმის გამო, მათ ქალაქ დუჯეილში 148 ადამიანი მოკლეს. უმაღლესი ტრიბუნალის დებულებით გათვალისწინებული იყო მოწმეთა და დაზარალებულთა დაცვის მექანიზმები, მაგრამ მისი პრაქტიკური რეალიზება პროცესის დამთავრებამდე ვერ მოხერხდა. დაზარალებულთა ადვოკატები გამუდმებით აღნიშნავდნენ მათი მისამართით განხორციელებულ სიკვდილის მუქარაზე, რაც პროცესის სამართლიანად ჩატარებას ეჭვქვეშ აყენებდა. საწყის ეტაპზე, ერთადერთ დაცვის მექანიზმს წარმოადგენდა მოწმეთა გაყვანა ქალაქიდან და მხოლოდ ჩვენების მიცემის დროს მათი უკან დაბრუნება. ზოგიერთ მოწმეს ჩვენებას ართმევდნენ სპეციალური ფარდის საშუალებით, რაც მას ვინაობის გამჟღავნებისაგან იცავდა. მას შემდეგ, რაც სასამართლო განხილვები დაიწყო, 2005 წლის ოქტომბრიდან 2006 წლის ივნისამდე 3 ადვოკატი იქნა მოკლული ამ საქმესთან დაკავშირებით. ერთ-ერთმა ადვოკატმა მასზე ჩასაფრე-

---

<sup>87</sup>იხ. იქვე. 17

ბული თავდასხმის გამო ოჯახის წევრებთან ერთად დატოვა ქვეყანა.

ამის შემდგომ, ადგილობრივმა მთავრობამ უფლება მისცა ადვოკატებს ეტარებინათ ცეცხლსასროლი იარაღი. მთავრობამ ასევე უზრუნველყო, მათთვის სამი შეიარაღებული პირადი მცველის დაქირავება. მიუხედავად მიღებული ზომებისა, ადვოკატთა უმრავლესობამ დატოვა ოჯახთან ერთად ქვეყანა და მხოლოდ დანიშნულ სასამართლო მოსმენებზე ჩადიოდა ერაყში.<sup>88</sup>

---

<sup>88</sup> “Judging Dujail: the first trial before the Iraqi High Tribunal”, Human Rights Watch, vol. 18, No. 8 (E) (November 2006), available at [www.hrw.org/doc/?t=pubs](http://www.hrw.org/doc/?t=pubs)).

### თავი III მოწმეთა დაცვის პროგრამის მონაწილეები

#### §1. მოწმის ცნება საერთაშორისო სამართალში

მოწმის განსაზღვრება განსხვავდება სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის მქონე სახელმწიფოებში. ზოგიერთ სახელმწიფოში, მოწმის სტატუსი პირს ენიჭება მხოლოდ სასამართლოში ჩვენების მიცემისას. ცხადია, ამგვარმა პოზიციამ არ უნდა შექმნას საკანონდებლო ბარიერი პირის მოწმეთა დაცვის პროგრამაში ჩასართავად. მოწმეთა დაცვის ღონისძიების მიზნებიდან გამომდინარე მოწმის სტატუსით უნდა ისარგებლოს ყველამ, ვინც საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციას ფლობს. ასეთი მიდგომა გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე თავად მოწმის სტატუსის არსებობა ან მის მიერ მიცემული ჩვენების ხასიათი. მოწმის ცნება შესაძლებელია სამ კატეგორიად დავეყოთ:

- მოწმეები, რომლებიც თანამშრომლობენ გამოძიებასთან;
- დაზარალებული მოწმეები;
- სხვა სახის მოწმეები (ექსპერტი-მოწმის სტატუსით, უდანაშაულო თვითმხილველნი და სხვ).<sup>89</sup>

---

<sup>89</sup>United Nations Office on Drugs and Crime Vienna, UNITED NATIONS New York, 2008-Good Practices for the Protection of Witnesses in Criminal Proceedings Involving Organized Crime გვ. 19

მოწმეები რომლებიც გამოძიებასთან თანამშრომლობენ და მონაწილეობას იღებენ ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაულის გახსნაში ან/და ჯგუფის სხვა წევრების მხილებაში, როგორც წესი ფლობენ ისეთ ინფორმაციებს, რომლებიც უშუალოდ ეხება დაჯგუფების სტრუქტურას, მისი მოქმედების მეთოდებს, მის კავშირს ადგილობრივ და უცხოურ ორგანიზაციებთან.

მზარდია იმ ქვეყნების რიცხვი, რომლებიც თავიანთ პოლიტიკასა და კანონმდებლობას წარმართავენ იმ კუთხით, რომ ხელი შეუწყონ ასეთი მოწმეების გამოძიებასთან თანამშრომლობას. ამ სახის მოწმეები გამოძიებასთან თანამშრომლობენ არა მორალური ფაქტორის გამო, არამედ იმიტომ, რომ მათ იმედი აქვთ მიიღებენ ხელშეუხებლობის გარანტიას, ან ციხეში გასატარებელი წლების შემცირებას, ასევე პირადი და ოჯახის უსაფრთხოების უზრუნველყოფას. ამ კატეგორიის მოწმეები ძირითად ნაწილს წარმოადგენენ მოწმეთა დაცვის პროგრამაში მონაწილეებს შორის.<sup>90</sup>

გასაკვირი არ არის ის ფაქტი, რომ მოწმეთა დაცვის პროგრამა ერთგვარად „იოლ გზასაც“ კი წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავიდან ასარიდებლად სხვა კრიმინალების დასმენის ხარჯზე.

---

<sup>90</sup>იხ. იქვე გვ. 19-20

პრაქტიკაში ასეთ დროს, ეთიკური საკითხების წამოწევა ხდება წინა პლანზე და ისმება კითხვა: „ხომ არ გვაქვს საქმე კრიმინალის დაუსჯელობასთან, მხოლოდ იმიტომ, რომ პირმა გამოძიებასთან ითანამშრომლა?!“ ამიტომ, უამრავი ქვეყნის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ სარგებელი, რომელიც გამოძიებასთან თანამშრომლობით უნდა მიიღოს პირმა, უნდა იყოს არა მთლიანი ხელშეუხებლობა, არამედ მისთვის სასჯელის შემსუბუქება, რომელიც მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება მოხდეს, როდესაც პირი გამოძიების ბოლომდე სამართალდამცავ ორგანოებთან სრულად ითანამშრომლებს. მისი ციხეში მოხვედრის შემდეგ მის მიმართ გარკვეული დაცვის ღონისძიებები გამოიყენება, როგორცაა:

- მისი იზოლაცია ციხის სხვა პატიმრებისგან;
- მისთვის გამოგონილი სახელის მინიჭება;
- მისი ტრანსპორტირებისას განსხვავებული მექანიკური საშუალებების გამოყენება და სხვ.<sup>91</sup>

ისინი განსაკუთრებით იზოლირებულნი უნდა იყვნენ ამავე საქმეში არსებული სხვა მოწმეებისგან.

---

<sup>91</sup>United Nations Office on Drugs and Crime Vienna, UNITED NATIONS New York, 2008-Good Practices for the Protection of Witnesses in Criminal Proceedings Involving Organized Crime გვ. 20

## §2. დაზარალებულის ცნება

გაეროს გენერალური ასამბლეის დეკლარაციის მიხედვით **დაზარალებული** განმარტებულია როგორც პირი: „რომელმაც განიცადა ინდივიდუალური ან კოლექტიური ზიანი, ფიზიკური ან/და ფსიქიკური დაზიანება, ემოციური ტანჯვა, ეკონომიკური დანაკლისი ან მისი უფლებების მნიშვნელოვანი დარღვევა.“<sup>92</sup> ვინაიდან დაზარალებული მოწმეები არიან ყველაზე მნიშვნელოვანი და ყველაზე დაუცველნი სისხლის სამართლის პროცესში, ამიტომ ზოგადი პრინციპის თანახმად, მათი დაცვა უზრუნველყოფილი უნდა იყოს როგორც პროცესის დაწყებამდე, ისე მისი მიმდინარეობისას და ისე მისი დამთავრების შემდგომ. ამგვარი დაცვის ღონისძიებებში იგულისხმება როგორც ჩვენების მიცემა ვიდეო კონფერენციის გამოყენებით, ისე საცხოვრებლის უსაფრთხოება და პირადი დაცვა. ასეთი მოწმეები შეიძლება ჩაერთონ ასევე მოწმეთა დაცვის პროგრამაში თუ არსებობს შემდეგი პირობები:

- ჩვენება ძალზედ ღირებულია გამოძიებისათვის/მართლმსაჯულებისთვის;
- მნიშვნელოვანი საფრთხის არსებობა;

---

<sup>92</sup> Declaration of Basic Principles of Justice for Victims of Crime and Abuse of Power –(General Assembly resolution 40/34, annex)

- დაცვის სხვა ეფექტური საშუალებების არარსებობა.<sup>93</sup>

### §3. პროგრამის სხვა მონაწილეები

ზოგიერთ ქვეყანას მიაჩნია და სავსებით გამართლებულიცაა, რომ მოწმეთა დაცვის პროგრამაში სხვა კატეგორიის ადამიანებიც შეიძლება მოხვდნენ, რომელთა ურთიერთობამაც განსახილველ სისხლის სამართლის საქმესთან შეიძლება მათ სიცოცხლეს საფრთხე შეუქმნას. მათ შორის შეიძლება იყვნენ: მოსამართლეები, პროკურორები, ფარული აგენტები, თარჯიმნები, ექსპერტები, ინფორმატორები და სხვ.

ინფორმატორი თავისი სტატუსით განსხვავდება მოწმისგან. მას არ იბარებენ სასამართლო პროცესზე ჩვენების მისაცემად. ხშირ შემთხვევაში, ბრალდების მხარე არ არის ვალდებული გაამუდავოს ინფორმატორის მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

ავსტრალიაში, ავსტრიაში, კანადაში, ლატვიაში, პოლანდიაში, ნორვეგიასა და დიდ ბრიტანეთში ინფორმატორები შესაძლებელია ჩაერთონ მოწმეთა დაცვის პროგრამაში.

---

<sup>93</sup>United Nations Office on Drugs and Crime Vienna, UNITED NATIONS New York, 2008-Good Practices for the Protection of Witnesses in Criminal Proceedings Involving Organized Crime გვ. 21



განსხვავებული ვითარებაა გერმანიაში, სლოვაკეთსა და შეერთებულ შტატებში, სადაც მხოლოდ ისინი შეიძლება ჩაერთონ მოწმეთა დაცვის პროგრამაში, ვინც მოწმის სტატუსით სარგებლობს, ე.ი ჩართულია სისხლის სამართლის პროცესში და მიცემული აქვს ჩვენება სასამართლოში. პროკურორებისა და მოსამართლეების მიმართ დაცვის ერთ-ერთ ღონისძიებად გამოიყენება მათი სამუშაოდან ჩამოცილება და ვადამდე პენსიაზე გასვლა.<sup>94</sup>

გაეროს კონვენციის შესაბამისად (კონვენცია კორუფციასთან ბრძოლის შესახებ-გენერალური ასამბლეის 54/4 რეზოლუციის დანართი)<sup>95</sup> მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა ზომა იმ მოწმეთა დასაცავად, რომელთაც ემუქრებათ შურისძიებან საფრთხე მათ მიერ მიცემული ჩვენების გამო. ეს ზომები უნდა გავრცელდეს ოჯახის წევრებზეც და სხვა დაახლოებულ პირებზეც. გასათვალისწინებელ ღონისძიებებში იგულისხმება:

- ფიზიკური უსაფრთხოების მექანიზმების შემუშავება, გადაადგილების, ადგილსამყოფელისა და პირადი საიდენტიფიკაციო ინფორმაციის გამჟღავნებისაგან დაცვა;

---

<sup>94</sup>United Nations Office on Drugs and Crime Vienna, UNITED NATIONS New York, 2008-Good Practices for the Protection of Witnesses in Criminal Proceedings Involving Organized Crime გვ. 22

- მექანიზმების შემუშავება მოწმის დასაცავად მის მიერ სასამართლო სხდომის დარბაზში ჩვენების მიცემის დროს;
- მონაწილე სახელმწიფოთა შორის შესაბამისი შეთანხმებების გაფორმება, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი გახდება მოწმეების საერთაშორისო გადაყვანა.<sup>96</sup>

მრავალი ქვეყნის გამოცდილებამ აჩვენა, რომ დადებითი შედეგი გამოიღო მოწმეთა დაცვის მექანიზმების შემუშავებამ. ჩვეულებრივი მოქალაქეებისათვის, რომლებსაც შეხება არ ჰქონიათ არათუ სასამართლოსთან, არამედ პოლიციასთანაც კი, საკმაოდ დიდ დისკომფორტს წარმოადგენს სასამართლოში ჩვენების მიცემა და თუ ყოველივე ამას ემატება მისი შინაგანი ემოციური ფონი, რომელიც გამოწვეულია შიშით, მუქარით ან სხვა ფაქტორით, სავსებით მოსალოდნელია, რომ მართლმსაჯულებამ ვერ მიიღოს მისგან ობიექტური ინფორმაცია. ასეთმა დეფექტმა შეიძლება მის პოზიციასზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს სასამართლოში გამოსვლისას, რაც ბრალდების მხარისთვის პროცესის წარმატებით წარმართვის შანსს ამცირებს.

მთელ რიგ ქვეყნებში, იქ სადაც კანონმდებლობა ამის შესაძლებლობას იძლევა, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები, პროკურატურის წარმომადგენლები და მართლმსაჯულების შესაბამისი

---

<sup>96</sup>იხ. იქვე გვ. 25

სტრუქტურების წარმომადგენლები წინასწარ ხვდებიან მოწმეებს მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესაფასებლად. ასეთი შეხვედრები განსაკუთრებით სასარგებლოა ისეთ საქმეში, სადაც ფიგურირებს არასრულწლოვანი.<sup>97</sup>

#### §4. პერსონალი

პერსონალის შერჩევა უმნიშვნელოვანესი ეტაპია მოწმეთა დაცვის პროგრამის წარმატებით განხორციელებისთვის. მოწმეთა დაცვის ოფიცრებს ესაჭიროებათ სათანადო კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები. ისინი უნდა იყვნენ განსაკუთრებით ფხიზლად მოწმეთა დაცვის პროცესში და უნდა გააჩნდეთ სათანადო ცოდნა თუ როგორც მიიღონ ჩვენება ან ინფორმაცია. მათ მოეთხოვებათ, რომ იყვნენ ფარული აგენტები და ინოვაციური მოაზროვნეები. თითოეულ ოფიცერს დამოუკიდებლად უნდა შეეძლოს მოლაპარაკების წარმართვა და საჭირო შემთხვევაში სასარგებლო რჩევის მიცემა. ერთ-ერთი პირველი საკითხი, მოწმის პროგრამაში დაშვების შემდეგ არის ის, თუ სად შეიძლება მოიძებნონ ამგვარი კვალიფიკაციის მქონე ადამიანები.

---

<sup>97</sup>United Nations Office on Drugs and Crime Vienna, UNITED NATIONS New York, 2008-Good Practices for the Protection of Witnesses in Criminal Proceedings Involving Organized Crime გვ. 27

კონფიდენციალობისა და ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფისათვის, დაცვის ოფიცრების დასაკომპლექტებლად ზედმიწევნით უნდა იყოს გაწერილი ყველა კრიტერიუმი. მოწმეთა დაცვა მოითხოვს სხვადასხვა სფეროში გამოცდილების ქონას. დაცვის ოფიცრებს მოეთხოვებათ სათანადო კვალიფიკაცია საკანონმდებლო ნორმატიული აქტების ცოდნაში, იარაღის ფლობაში, ფსიქოლოგიასა და პირადი დაცვისთვის აუცილებელ უნარ-ჩვევებში.

**გუნდურობა** –ადმინისტრაციულ თანამშრომლებსა და დაცვის ოფიცრებს შორის უნდა იყოს ერთიანობის შეგრძნების ატმოსფერო. მათ მოეთხოვებათ მაღალი მორალური თვისებების ქონა და კონფიდენციალობის დაცვის უნარი. ეს უნარ-ჩვევები უზრუნველყოფს მოწმეთა დაცვის პროგრამის საიდუმლოებას.

**ფსიქოლოგიური პორტრეტი** –მოწმეთა დაცვა ურთულეს ამოცანას წარმოადგენს ფსიქოლოგიური ფაქტორის გათვალისწინებითაც. დაცვის ოფიცრებს გააზრებული უნდა ჰქონდეთ ის ფაქტი, რომ უმრავლეს შემთხვევაში მათ მოუწევთ ყოფილი კრიმინალების დაცვა. მიუხედავად იმისა, თუ რამდენად კარგად მომზადებულები არიან დაცვის ოფიცრები, ზოგიერთ მათგანს უჭირს როლების შეცვლა. კერ-

ძოდ, თავი დაანებოს კრიმინალების და დამნაშავეების დევნას და გახდეს მათ დამცველი.<sup>98</sup>

გარდა ამისა, პროგრამის მონაწილე მოწმეები მოწვევტილნი არიან გარე სამყაროს, ისინი კარგავენ ნორმალურ სოციალურ ურთიერთობებს და ხშირად დაცვის ოფიცრები მათი სუროგატი ოჯახის წევრებიც კი ხდებიან. მიუხედავად პროფესიული დისტანციურობისა, ზოგიერთ მათგანზე ეს მძიმე ფსიქოლოგიურ გავლენას ახდენს, ამიტომ პროგრამის მიმდინარეობისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს ფსიქოლოგიური კონსულტაციების გაწევა ამგვარი შემთხვევებისათვის.

პერსონალის უმრავლესობა სრულგანაკვეთიან სამუშაოს ასრულებს, რათა მაქსიმალურად უზრუნველყოფილი იყოს უსაფრთხოება და მინიმუმადე იქნეს დაყვანილი რისკ-ფაქტორები. მათ უტარდებათ მუდმივი გადამზადებები და ტრენინგები კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით. ნახევარ-განაკვეთიან სამუშაოზე დასაქმებულები, ძირითადად ასრულებენ მხოლოდ გამოძახებით სამუშაოს მაშინ, როდესაც საქმე ფიზიკურ დაცვას ეხება.

სამსახურში მიღების დროს, კანდიდატები გადიან სხვადასხვა ტესტირებებსა და ფსიქოლოგიურ შემოწმებებს.

---

<sup>98</sup>United Nations Office on Drugs and Crime Vienna, UNITED NATIONS New York, 2008-Good Practices for the Protection of Witnesses in Criminal Proceedings Involving Organized Crime გვ. 48

**მუშაობის პერიოდი** – ხშირად გარკვეული მიზეზების გამო, სამსახური ახდენს თანმშრომელთა გადახალისებას რამდენიმე წელიწადში ერთხელ (3-5 წელიწადში ერთხელ). ამგვარი, ქმედება გამართლებულია იმით, რომ დაცვის ოფიცრებს ჰქონდეთ კარიერული განვითარების საშუალება; ასევე კორუფციის პრევენციის მიზნებიდან გამომდინარე. თუმცა კვალიფიციური შტატის შენარჩუნება და ბალანსის დაცვა უმთავრესია.

**სწავლება** – არსებული ჩვევების შენარჩუნება და შემდგომი განვითარება არის წარმატების გასაღები მოწმეთა დაცვის პროგრამის განხორციელებისას. დაცვის ოფიცრების სწავლების ხასიათი მულტიდისციპლინური ხასიათისაა და მათ მრავალფეროვან სფეროებში მოუწევთ გარკვევა, რაც ჩვეულებრივი პოლიციის ოფიცრებისაგან ბევრად განასხვავებს მათ. კოორდინირებული და სტანდარტიზირებული ტრენინგი ზრდის სამსახურის ნდობის ხარისხს და განამტკიცებს ქვეყნის რეპუტაციას საერთაშორისო თანამშრომლობის დროს მოწმეთა გადაყვანის პროცესში.<sup>99</sup>

---

<sup>99</sup>იხ. იქვე გვ. 49

## **თავი IV დაცვის ალტერნატიული მექანიზმები** **§1 მოწმეთა დახმარების პროგრამა**

მოწმეთა დაცვის პროგრამა საკმაოდ ძვირადღირებულ ოპერაციათა შესრულებას გულისხმობს, რომელთა გამოყენებისთვისაც მოწმე უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ დასაშვებობის კრიტერიუმებს. საერთო სტანდარტის მიხედვით დადგენილია, რომ პროგრამის მონაწილის სტატუსის მოსაპოვებლად მოწმის ჩვენება უნდა იყოს გამოძიებისათვის, სასამართლოსათვის, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისათვის მნიშვნელოვანი, უნდა არსებობდეს რეალური საფრთხე, რომელიც მიმართულია მოწმის ან/და მისი ახლობლის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლების ან ქონების წინააღმდეგ და არ უნდა არსებობდეს დაცვის სხვა ალტერნატიული გზა ამ საფრთხეების თავიდან ასაცილებლად. ეს არის ის ზოგადი კრიტერიუმები, რომელთაც უმარავი ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს. ასეთი ხისტი კრიტერიუმების გადაღახვა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შესაძლებელი როდია. სწორედ ამ მიზეზის გამო, ზოგიერთ სახელმწიფოში შემუშავდა დაცვის ალტერნატიული მექანიზმები.

**მოწმეთა დახმარების პროგრამის** არსებობა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, მით უფრო მაშინ, როდესაც მოწმეთა დაცვისა და უსაფრთხოების პროგრამაში ჩართვა გამკაცრებული კრიტერიუმების გამო არც ისე მარტივი პროცედურაა, ხოლო რეა-

ლური საფრთხის თავიდან აცილება სხვა გზით შეუძლებელია.

არის მოსაზრება, რომ მოწმეთა დახმარების პროგრამა ასევე გამოყენებული უნდა იქნეს ყველა ისეთ შემთხვევაში, როდესაც პირს სუბიექტურად სჯერა, რომ მის მიმართ არსებობს საფრთხე, მიუხედავად იმისა ამის, ობიექტური საფუძველი არსებობს თუ არა.<sup>100</sup> თუ ასეთ შემთხვევაში დაცვის ღონისძიებები არ იქნება გამოყენებული, მოწმემ შესაძლოა თავი უსაფრთხოდ ვერ იგრძნოს, რაც პირდაპირ აისახება მის მიერ მიწოდებულ ინფორმაციის სისწორეზე.

საქმეთა უმრავლესობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მოწმეები არ დგანან სიკვდილის საფრთხის პირისპირ, არამედ ისინი განიცდიან სიტყვიერ მუქარას, დაშინებას, დევნას, შეურაცხყოფას, ქონების განადგურების მუქარას და ა.შ. მათ მიერ გამოძიებასთან თანამშრომლობის სანაცვლოდ **მოწმეთა დახმარების პროგრამის ფარგლებში** შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი სახის ღონისძიებები:

- საცხოვრებლის დროებით შეცვლა ნათესავებთან ან ახლომდებარე ქალაქში გადასვლით;
- ესკორტირება სასამართლოში;

---

<sup>100</sup>United Nations Office on Drugs and Crime Vienna, UNITED NATIONS New York, 2008-Good Practices for the Protection of Witnesses in Criminal Proceedings Involving Organized Crime გვ. 29



- სატელეფონო კომპანიებთან თანამშრომლობა, რათა დროულად მოხდეს მოწმეთა ტელეფონების ნომრების შეცვლა ან მათი გადაყვანა დაფარულ ბაზაში;
- საფოსტო და სატელეფონო ზარების მონიტორინგი;
- მოწმის საცხოვრებელ სახლში უსაფრთხოების მოწყობილობების დამონტაჟება (სიგნალიზაცია და სხვ.);
- მობილური ტელეფონის და სხვა ელექტრონული ხელსაწყოების პროგრამირება, რათა დროულად მოხდეს საგანგებო ნემერზე შეტყობინების გაგზავნა(ხმოვანი ზარი-voice signal და სხვ.);
- საჯარო ადგილებში კონტაქტის შეზღუდვა და სხვ.<sup>101</sup>

## §2. პოლიციის დაცვა

პოლიციის ფუნქციიდან გამომდინარე, მის უშუალო ვალდებულებად მიიჩნევა საზოგადოების და მოქალაქის უსაფრთხოებაზე ზრუნვა. სწორედ ამ განსაზღვრებიდან გამომდინარე მოიაზრებენ დაცვის

---

<sup>101</sup>იხ. იქვე გვ. 29-30

ერთ-ერთ ალტერნატიულ მექანიზმად პოლიციის დაცვას. ცხადია, ეს გულისხმობს მოწმის მხოლოდ ფიზიკურ დაცვას და საერთო არაფერი აქვს დაცვის იმ ღონისძიებებთან, რომლებსაც მოწმეთა დაცვის სპეციალური პროგრამა ითვალისწინებს. მოწმის ფიზიკური დაცვა შეიძლება გამოიხატოს მის საცხოვრებელ ადგილას ხშირი პატრულირებითაც.

### **§3. დროებითი გადაადგილებები უსაფრთხო ადგილებში**

დაცვის ერთ-ერთ ალტერნატიულ მექანიზმად მოიაზრებენ მოწმის დროებით გადაადგილებას უსაფრთხო ადგილას. ასეთ დროს, მოწმესა და სახელმწიფოს შორის რაიმე ტიპის მემორანდუმი შეიძლება არც გაფორმდეს.

ზოგიერთ ქვეყნებში, დაზარალებული მოწმეებისთვის გამოყოფილია სპეციალური **უსაფრთხო სახლები (safe houses)**, სადაც მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციებს, სოციალური, სამედიცინო პერსონალის წარმომადგენლებს და პროგრამაში ჩართულ პირებს შეუძლიათ შესვლა. გამოძიების მიმდინარეობისას, მოწმეებს ხვდებიან სპეციალური მუშაკები (რიგ ქვეყნებში პოლიციის გამომძიებლებიც, თუ მათ აქვთ შესაბამისი გამოცდილება და მომზადება), რომლებიც არკვევენ თუ რა საფრთხეები არსებობს

მოწმესთან მიმართებაში და რა ზომები შეიძლება იქნეს გამოყენებული მის დასაცავად, რის შემდეგაც მიმართავენ შესაბამის სტრუქტურებს შესაბამისი დაცვის ღონისძიებების უზრუნველყოფის მოთხოვნით.

ამგვარ უსაფრთხო საცხოვრებელ ადგილას, ყოველი უცხო პირი მკაცრად კონტროლდება და მხოლოდ სპეციალური უფლებამოსილების მქონე პირებს აქვთ იქ შესვლის შესაძლებლობა.

#### **§4. თვითდაცვა**

ზოგადად, ფინანსური დახმარება შეიძლება გათვალისწინებული იყოს მოწმეთა დაცვის სპეციალური პროგრამით, როდესაც პირს ესაჭიროება დახმარება სამსახურის შოვნამდე.

თუმცა არსებობს ისეთი ფინანსური დახმარებაც, რომელიც ერთჯერად ხასიათს ატარებს და მოწმეთა დახმარების ერთ-ერთ ალტერნატიულ მექანიზმად მიიჩნევა. ზომიერი ფინანსური დახმარების პირობებში, მოწმე თავად წყვეტს თუ რა გზით მოახდინოს საკუთარი თავის ან/და მისი ახლობლის უსაფრთხოება. ასეთ შემთხვევაში მოწმეს სთავაზობენ ერთიან თანხას, რათა მან თავად მოახერხოს საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფა სხვა ადგილას გადასახლების გზით. ასეთ დროს არ დგება რაიმე სახის საპროცესო დოკუმენტი ან მემორანდუმი და სამარ-

თაღდამცავი ორგანო/სახელმწიფო არ იღებს პასუხისმგებლობას მოწმის უსაფრთხოებაზე. ზოგიერთ ქვეყანაში სახელმწიფოს გამოყოფილი ყავს სპეციალური მუშაკები, რომლებიც მუშაობენ მოწმესთან ერთად და აფასებენ მოსალოდნელ და არსებულ რისკებს. ისინი ეხმარებიან მოწმეებს საკუთარი თვითდაცვის ზომების განაზღვრაში.<sup>102</sup>

## **§5. თანმხლები პირი**

უნდა აღინიშნოს, რომ თანმხლები პირი არ უზრუნველყოფს მოწმის ფიზიკურ დაცვას. თანმხლები პირი ეხმარება მოწმეს დაძლიოს შინაგანი მღელვარება, რომელიც გამოწვეულია სასამართლოში ჩვენების მიცემის ან/და ბრალდებულთან შეხვედრის შედეგად. თანმხლები პირი შეიძლება იყოს იგივე სქესის წარმომადგენელი, რომელი სქესისაც არის მოწმე. სასამართლომ შეიძლება დართოს მოწმეს ნება ჩვენება მისცეს თანმხლებ პირთან ერთად თუ არსებობს შფოთვის ან შინაგანი დაძაბულობის ფაქტორი. თანმხლები პირის არსებობა ჩვეულებრივი მოვლენაა დაუცველი მოწმეების გვერდით, განსაკუთრებით მაშინ, თუ ის სექსუალური ძალადობის მსხვერპლია ან არასრულწლოვანია. თანმხლები პირი უნდა იყოს ინ-

---

<sup>102</sup>United Nations Office on Drugs and Crime Vienna, UNITED NATIONS New York, 2008-Good Practices for the Protection of Witnesses in Criminal Proceedings Involving Organized Crime გვ. 41

ფორმირებული ძირითად საკითხებზე, მაგრამ არ უნდა წარმოადგენდეს მხარეს პროცესში. ძოგადად, თანმხლები პირები არიან მშობლები, მასწავლებლები, პოლიციის ოფიცრები, თერაპევტები და სხვ.

თანმხლებმა პირმა ხელი არ უნდა შეუშალოს მოწმის პირდაპირ და ჯვარედინ დაკითხვას, არ უნდა მისცეს რჩევები მოწმეს ჩვენების მიცემისას. მას უფლება უნდა ჰქონდეს განსაკუთრებით ახლოს იმყოფებოდეს მოწმესთან ჩვენების მიცემის დროს, იჯდეს მის გვერდით, მიაწოდოს სასამართლოს ინფორმაცია მოწმის მდგომარეობის შესახებ, მოითხოვოს შესვენების გამოყენება, თუ მოწმე გადაიღალა და ა.შ.<sup>103</sup>

თანმხლები პირის არსებობა, ხშირად დაცვის მხარის უკმაყოფილებასაც კი იწვევს, იმ მოტივით, რომ ასეთი პირის არსებობა დარბაზში ქმნის ბრალდებულის საშიშროების შთაბეჭდილებას და ხშირად მოსამართლეები თანმხლებ პირებს მიუთითებენ დასხდნენ დარბაზში საზოგადოებასთან ერთად, მაგრამ მოწმის სიახლოვეს.<sup>104</sup>

---

<sup>103</sup>United Nations Office on Drugs and Crime Vienna, UNITED NATIONS New York, 2008-Good Practices for the Protection of Witnesses in Criminal Proceedings Involving Organized Crime გვ. 34

<sup>104</sup>იხ. იქვე გვ. 35

## §6. პროცესუალური დაცვა

მთელ რიგ ქვეყნებში გამოიყენება მოწმეთა დაცვის საპროცესო ღონისძიებები. სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას, იმისათვის რომ უზრუნველყოფილ იქნეს ჩვენების მიცემა დაშინებისა და მუქარის პირობების გარეშე, განსაკუთრებით ისეთ საქმეებზე, რომელიც ეხება სექსუალურ დანაშაულებს, ოჯახურ ძალადობას, ტრეფიკინგს, საქმეებს სადაც მონაწილეობს არასრულწლოვანი მოწმე და სხვ.

სასამართლო უფლებამოსილია გამოიყენოს შემდეგი სახის საპროცესო დაცვის მექანიზმები:

- სასამართლოში ჩვენების ნაცვლად, გამოიყენოს გამოძიებისას (წინასწარი გამოძიებისას) დაფიქსირებული ინფორმაცია;
- თანმხლები პირის არსებობა ფსიქოლოგიური მხარდაჭერის მიზნით;
- ჩვენების მიცემა ვიდეოკონფერენციის საშუალებით;
- ხმის და სახის გამოსახულების შეცვლა;
- ბრალდებულის ან/და საზოგადოების სხდომის დარბაზიდან დროებით გაყვანა;
- ანონიმური ჩვენება.<sup>105</sup>

---

<sup>105</sup>United Nations Office on Drugs and Crime Vienna, UNITED NATIONS New York, 2008-Good Practices for the Protection of Witnesses in Criminal Proceedings Involving Organized Crime გვ. 31

ამგავრი საპროცესო გადაწყვეტილების მიღების დროს, ძირითადი ყურადღება ექცევა დანაშაულის ბუნებას (მაგ: ორგანიზებული, სექსუალური, ოჯახური და ა.შ), მსხვერპლის/დაზარალებულის ვინაობას (მაგ: სექსუალური დანაშაულის მსხვერპლი, არასრულწლოვანი), ბრალდებულთან დამოკიდებულებას (მაგ: ნათესაური, დაქვემდებარებული), ჩვენების მნიშვნელობას და ა.შ. საპროცესო დაცვის მექანიზმები, მათი ამოცანებიდან გამომდინარე სამ ჯგუფად შეიძლება დავყოთ:

ა) ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია ბრალდებულთან პირისპირ შეხვედრისა და კონფრონტაციის თავიდან ასაცილებლად:

- სასამართლოში ჩვენების მიცემის ნაცვლად, გამოძიების ეტაპზე გაკეთებული განაცხადის გამოყენება;
- ბრალდებულის სხდომის დარბაზიდან გაყვანა;
- ჩვენების მიცემა აუდიო ან ვიდეო კონფერენციის გამოყენებით;

ბ) ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია მოწმის ვინაობის გასაიდუმლოებისკენ:

- ჩვენების მიცემა ფარდის ან ორმაგი სარკის გამოყენებით;
- ანონიმური ჩვენება.

გ) ღონისძიებები, რომელიც მიმართულია მოწმეზე საზოგადოების ფსიქოლოგიური ზემოქმედების შემცირების მიზნით:

- სასამართლო მოსმენის ადგილისა და დროის შეცვლა;
- საზოგადოების სხდომის დარბაზიდან გაყვანა;
- **თანმხლები პირის** არსებობა ფსიქოლოგიური მხარდაჭერის მიზნით.<sup>106</sup>

ზემოაღნიშნული ღონისძიებებიდან თითოეული მათგანი გამოიყენება, როგორც ცალ-ცალკე, ისე კომბინირებულად სხვა ზომებთან ერთად.

### **§7. ბრალდებულის გაყვანა სხდომის დარბაზიდან**

გამონაკლის შემთხვევებში, ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს ბრალდებულის სხდომის დარბაზიდან გაყვანის შესაძლებლობას, როდესაც მოწმე იკითხება სასამართლოს წინაშე. ყოველივე ეს იმისთვის ხდება, რომ ბრალდებულმა სიტყვიერად ან ჟესტიკულაციის გამოყენებით გავლენა არ მოახდინოს მოწმეზე და ამით მის თავისუფალ თხრობას, დაკითხვას ხელი არ შეუშალოს. ჩვენების დასრულების შემდეგ, ბრალდებულს აბრუნებენ სხდომის დარბაზში და მას წერილობით გააცნობენ მოწმის მიერ მიცემულ ჩვენებას. არსებობს ისეთი ვითარებაც, როდესაც მოწმეზე მუქარა მომდინარეობს არა ბრალდებულის, არამედ სხვა პირის მხრიდან, რომელიც არ არის სისხლის სამართლის საქმის მონაწილე. ასეთ შემთხვევაშიც, სასამართლო მიმარ-

<sup>106</sup>იხ. იქვე გვ. 32-33



თავს საპროცესო დაცვის ისეთ მექანიზმს, როგორიცაა სხდომის დარბაზიდან გაძევება.<sup>107</sup>

გაეროს კონვენცია „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ მოუწოდებს ხელშემკვრელ სახელმწიფოებს უზრუნველყონ შიდა კანონმდებლობით ჩვენების მიცემის შესაძლებლობა ვიდრე კონფერენციის ან სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. ასევე შესაძლებელი უნდა იყოს ისეთი პროგრამების და მოწყობილობების გამოყენება, რომელიც უზრუნველყოფს სახისა თუ ხმის შეცვლას, რათა ბრალდებულისათვის და დარბაზისათვის ცნობილი არ გახდეს მოწმის ვინაობა.<sup>108</sup>

სახისა და ხმის შეცვლას უმეტესად მაშინ მიმართავენ, როდესაც ბრალდებული და მოწმე ერთმანეთს იცნობენ. როდესაც მოწმე წარსდგება სასამართლოს წინაშე, სახის შესაცვლელად შეიძლება გამოიყენონ თეატრალური შენიღბვის ხერხები, როგორცაა პარიკი, მაკიაჟი, დიდი სათვალეები და ა.შ

თუ არსებობს იმის საშიშროება, რომ მოწმეს ხმით იცნობენ, ასეთ დროს გამოიყენება ხმის დასამახინჯებელი სპეციალური მოწყობილობა ან კომპიუტერული პროგრამა. თუ ჩვენების ჩაწერა სავალდე-

---

<sup>107</sup>United Nations Office on Drugs and Crime Vienna, UNITED NATIONS New York, 2008-Good Practices for the Protection of Witnesses in Criminal Proceedings Involving Organized Crime გვ. 36

<sup>108</sup> UNITED NATIONS CONVENTION AGAINST TRANSNATIONAL ORGANIZED CRIME Art. 18 paragraph 18

ბულოა მოცემული საქმის მსვლელობისას, შეცვლილი ხმით მიცემულ ჩვენებას აქვს ოფიციალური იურიდიული ძალა.

თუმცა, თუ ბრალდებული იცნობს მოწმეს, ამგვარი ღონისძიებების ეფექტურობა მაინც შეზღუდულია, ვინაიდან არსებობს იმის რისკი, რომ მოწმე ამოიცნონ მის მიერ მიცემული ჩვენების არსით.<sup>109</sup>

ზოგიერთმა სახელმწიფომ იზრუნა სპეციალურად ამგვარი შემთხვევებისთვის და სასამართლო სხდომის დარბაზები აღჭურვა აუცილებელი კომპონენტებით. მაგალითად, კორეის რესპუბლიკამ აქტიურად დაიწყო ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა და სასამართლო დარბაზებიც მოაწყო ვიდუო კონფერენციისთვის აუცილებელი აპარატურით.

ზოგიერთ სახელმწიფოში, მიუხედავად მოწმეთა დაცვის პროგრამის არსებობისა, დაუშვებელია მოწმეების ამგვარ პირობებში დაკითხვა. განსაკუთრებით ისეთი სამართლებრივი სისტემის ქვეყნებში, სადაც საქმეებს განიხილავენ ნაფიცი მსაჯულები. ასეთ დროს, მოწმე უნდა დაიკითხოს პირდაპირ და უშუალოდ, რათა ნაფიც მსაჯულებს შეექმნათ ყოველ-

---

<sup>109</sup>United Nations Office on Drugs and Crime Vienna, UNITED NATIONS New York, 2008-Good Practices for the Protection of Witnesses in Criminal Proceedings Involving Organized Crime გვ. 37

მხრივი წარმოდგენა მისი ჩვენების და პიროვნების შესახებ.<sup>110</sup>

## **თავი V მოწმეთა დაცვის პროგრამის პრინციპები**

### **§1. საკანონმდებლო მოწესრიგება**

მოწმეთა დაცვის პროგრამის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს საკანონმდებლო რეგულირება წარმოადგენს. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული მოწმეთა დაცვის პროგრამის განხორციელების პირობები და საპროცესო წესები. მაგალითად, ახალი ზელანდიის კანონმდებლობა ცალკე არ გამოყოფს ამ პროგრამას და პოლიციის არსიდან გამომდინარე მის უშუალო ვალდებულებად მიიჩნევს მოქალაქეთა უსაფრთხოებაზე ზრუნვას.

ზოგადად, განვითარებული დემოკრატიის მქონე ქვეყნების მსგავსად, სასურველია კანონმდებლობაში

---

<sup>110</sup>United Nations Office on Drugs and Crime Vienna, UNITED NATIONS New York, 2008-Good Practices for the Protection of Witnesses in Criminal Proceedings Involving Organized Crime გვ.38 ობ. ასევე Council of Europe, European Committee on Crime Problems, Committee of Experts on Criminal Law and Criminological Aspects of Organised Crime, Report on Witness Protection, Best Practice Survey No. 1, document PC-CO (1999) 8 REV (Strasbourg, Council of Europe Publishing, 1999).

ასახული იყოს იმ საპროცესო ნორმების მინიმუმი, რომლებიც განსაზღვრავს:

- დაცვის ღონისძიების სახეებს;
- პროგრამაში მონაწილეობის და დასაშვებობის კრიტერიუმებს;
- ხელისუფლების პასუხისმგებლობას პროგრამის განხორციელებაზე;
- პროგრამის შეწყვეტის პირობებს;
- მხარეთა უფლება-მოვალეობებს;
- კონფიდენციალობას;
- მესამე პირების, კრედიტორთა უფლებების დაცვის გარანტიებს;
- პროგრამის განმახორციელებელ ორგანოს.<sup>111</sup>

ნუმერუს კლაუსის პრინციპის მსგავსად, სისხლის სამართლის პროცესში, მოწმეთა დაცვის სპეციალური პროგრამის განხორციელებისას, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს დაცვის ის საპროცესო ღონისძიებები, რომლებიც კანონით არის განსაზღვრული.

## **§2. კონფიდენციალურობა და ავტონომია**

კონფიდენციალურობა და საორგანიზაციო ავტონომია არის მოწმეთა დაცვის პროგრამის ფუნდამენტუ-

---

<sup>111</sup>United Nations Office on Drugs and Crime Vienna, UNITED NATIONS New York, 2008-Good Practices for the Protection of Witnesses in Criminal Proceedings Involving Organized Crime გვ. 43-44

რი პრინციპი და მისი წარმატებით განხორციელების აუცილებელი წინაპირობა. იგი გამიჯნული უნდა იყოს საგამოძიებო და საპოლიციო ორგანოებისაგან. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, ისიც ამ პროგრამის განმახორციელებელი ორგანოს ინიციატივით, შეიძლება გარკვეული თვითშეზღუდვა. ეს იმ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს, როდესაც ოპერაციის განხორციელებას სჭირდება ლოჯისტიკური მხარდაჭერა ან საჭიროა არსებული საფრთხეების ერთობლივი შეფასება, რომლებიც ემუქრება მოწმეს.<sup>112</sup>

### §3. პარტნიორობა

მიუხედავად იმისა, რომ კონფიდენციალურობა და საორგანიზაციო ავტონომია არის ფუნდამენტური პრინციპი მოწმეთა დაცვის პროგრამის განხორციელებისას, ამ პროგრამის წარმატებით განხორციელებითვის ასევე აუცილებელია სამთავრობო სტრუქტურებთან და კერძო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მოწმეთათვის ისეთი ფართო სერვისის უზრუნველყოფა, როგორცაა:

- ახალი საიდენტიფიკაციო მონაცემები;

---

<sup>112</sup>United Nations Office on Drugs and Crime Vienna, UNITED NATIONS New York, 2008-Good Practices for the Protection of Witnesses in Criminal Proceedings Involving Organized Crime გვ. 53-54

- საცხოვრებელი ადგილი;
- სოციალური დაცვა;
- მსჯავრდებული მოწმის შემდგომი რეაბილიტაცია;
- ფინანსური მხარდაჭერა;
- სამედიცინო, სტომატოლოგიური და ფსიქოლოგიური დახმარება;
- განათლების უზრუნველყოფა ბავშვებისთვის და სხვ.

